წლიან შირაქი

SHIRAKI

გამოდის 1937 წლიდან

დედოფლისწყაროს-მუნიციპალიტეტის გაზეთი

№49-50 (9 910)

28 დეკემბერი-4 იანვარი 2019 წელი

ფასი: 50 თეთრი

ყოველკვირეული გამოცემა

გ ი ლ ო ც ა ვ თ !

ჩემო კარგო ადამიანებო, სულ მალე შობა-ახალი წელი შემოაბიჯებს, რასაც სულითა და გულით გილოცავთ. 2019 წელი დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტისთვის წარმატებული იყო. ისევე,როგორც გასულ წლებში , წელსაც ბევრი სასიკეთო საქმის გაკეთება შევძელით. დამეთანხმებით, დედოფლისწყაროსა და მის სოფლებში დღეს ბევრად უკეთესი მდგომარეობაა, ვიდრე გასულ წლებში. ეს ჩვენი - საკრებულოსა და მერიის დიდი მონდომების შედეგია. ამასთან, კარგად გვაქვს გააზრებული, რომ ჯერ კიდევ არსებობს პრობლემებიც. ჩვენ მათ მოგვარებას თავდაუზოგავი შრომის შედეგად შევეცდებით და გპირდებით, რომ მოვაგვარებთ კიდეც. ჩემო ძვირფასებო, სამშობლოსა და ერთმანეთის სიყვარულით, თანადგომითა და გარჯით ავაღორძინებთ ჩვენს ქვეყანას. გილოცავთ დამდეგ 2020 წელს. უფალმა ჯანმრთელობა, სიკეთე, სიხარული, ხვავი, ბარაქა არ მოაკლოს თქვენს ოჯახებს. გამრავლდით და გაიხარეთ, ჩემი სამშობლოს საყვარელო შვილებო. ბედნიერი შობა და ახალი წელი გქონოდეთ.

პატივისცემით,
ნუგზარ პაპიაშვილი
დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე.

მოგესალმებით, მეგობრებო, გილოცავთ დამდეგ შობა-ახალ წელს. გისურვებთ, რომ 2020 წელი თითოეული ჩვენგანისთვის იყოს ჯანმრთელობის, ბედნიერების, ბარაქის, სიკეთისა და სიხარულის მომტანი. გასული წელი ძალიან მნიშვნელოვანი იყო ჩვენი ქვეყნისა და მუნიციპალიტეტისათვის. თითოეული თქვენგანის გვერდში დგომით შევძელით და განვახორციელეთ არაერთი სასიკეთო პროექტი. განსაკუთრებით აღვნიშნავ ჩვენს მიერ შესრულებულ საუკუნის პროექტებს. ესენია : საზღვრისპირა სოფლების, ასევე, ჭოეთისა და თავწყაროს დასახლებების გაზიფიცირება და სამთაწყარო-საბათლოს გზის სრული რეაბილიტაცია. დამეთანხმებით, რომ გასულ წლებთან შედარებით, დღეს უფრო ნაკლებ დედოფლისწყაროელს აწუხებს მოუწესრიგებელი საგზაო ინფრასტრუქტურა და ღამით ჩაბნელებული ქუჩები, განათდა სოფლებიც, მოეწყო ახალი სკვერები, სპორტული მოედნები, დასასვენებელი პარკები და ატრაქციონები, რეაბილიტირდა სკოლები და ამბულატორიები... აღნიშნული პროცესი როგორც ქ. დედოფლისწყაროში, ასევე ჩვენს სოფლებში 2020 წელსაც აქტიურ რეჟიმში გაგრძელდება . აქვე აღვნიშნავ, რო ჩემი და ჩემი გუნდის ძალისხმევისა და მონდომების მიუხედავად, ჯერ კიდევ არსებობს პრობლემები. ამიტომაც გპირდებით, რომ არ გავჩერდებით , გავაკეთებთ მაქსიმუმს, რათა თითოეულმა თქვენგანმა და თქვენმა შვილებმა , ჩვენმა შვილებმა, იცხოვრონ უკეთეს ქვეყანაში, უკეთეს სოფელში, უკეთეს უბანში... ეს წელი წარმატებული იყო დედოფლისწყაროელი სპორტსმენებისთვისაც. გვასახელეს ჩვენმა კიკბოქსინგის, ქართული ჭიდაობისა და უშუს ნაკრებებმა, კვლავინდებურად მსოფლიო ჩემპიონია ლაშა ბექაური, ხოლო ევროპის ჩემპიონი-ნიკა ჩიტიშვილი... მე ყველა სფეროს წარმომადგენელს, თითოულ წარმატებულ დედოფლისწყაროელს ვულოცავ მიღწეულ შედეგებს და ვუსურვებ კიდევ ბევრ წარმატებას ჩვენი მუნიციპალიტეტისა და ქვეყნის სასახელოდ. კიდევ ერთხელ გილოცავთ დამდეგ შობა-ახალ წელს, იმედების გამართლების, ოცნებების ახდენისა და გახარების წელი ყოფილიყოს დამდეგი 2020 წელი . უფლის წყალობა არ მოკლებოდეს თქვენს ოჯახებსა და სრულიად საქართველოს.

პატივისცემით,
ნიკოლოზ ჯანიაშვილი, **დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერი**

გილოცავთ შობა - ახალი წლის შემობრძანებას! მინდა, თითოეულ თქვენგანს გულითადად მოგილოცოთ 2020 წლის დადგომა!

გასული, 2019 წელი მნიშვნელოვანი იყო ჩვენი ქვეყნისთვის, ჩვენი მუნიციპალიტეტისთვის. ეს იყო ისტორიული წელი, რომელმაც კიდევ უფრო დაგვაახლოვა ევროპასთან, რომელიც არის ცივილიზაციის და თანამედროვე, განვითარებული სამყაროს ნათელი წერტილი. სწორედ ამიტომ, უნდა გვჯეროდეს, რომ ჩვენ ავაშენებთ ქვეყანას, სადაც ჩვენს ოჯახებს, ჩვენს შვილებს უკეთესი ხვალინდელი დღე ექნებათ... საქართველო იქნება შესაძლებლობების ქვეყანა, თავისუფალი მოქალაქე-ების ქვეყანა, სადაც ყველა შეძლებს საკუთარი თავის, საკუთარი იდეების რეალიზებას, სადაც ქვეყნის წარ-მატება დამოკიდებული იქნება თითოეული ჩვენგანის შრომაზე.

აღსანიშნავია, რომ 2019 წელს, იმ პროგრამებმა, რომლებიც სოციალური მომსახურებების, ჯანდაცვისა და მოქალაქეების მიერ შერჩეული სხვა პრიორიტეტების მიმართულებებით განვახორციელეთ, საშუალება მოგვცა, ჩვენი თანამოქალაქეების ცხოვრების დონე და პირობები, წინა წლებთან შედარებით, კიდევ უფრო გაგვეუმჯობესებინა. წამოგვეწყო სამომავლო პროექტები, რომელთა მეშვეობითაც, ჩვენი ქვეყანა და ქალაქები, ძალიან მალე ინფრასტრუქტურული თვალსაზრისით უფრო მეტად განვითარებული და კეთილმოწყობილი იქნება. მოქალაქეების სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით, კვლავ ბევრი რამ იგეგმება. ხელისუფლებას სურს, ყველა ადამიანზე აისახოს ის დადებითი ძვრები, რაც ქვეყანაში მოხდება.

გისურვებთ ისეთ ქვეყანაში ცხოვრებას, სადაც ყველა თქვენი იდეის განხორციელება შესაძლებელი იქნება, სადაც ყველანი გავუფრთხილდებით არსებულს და, ამავე დროს, საკუთარი ხელით შევქმნით ჩვენს მომავალს; სადაც ყველა გავაკეთებთ ჩვენს საყვარელ საქმეს და ყველას შეგვეძლება, ჩვენი ცოდნით და გამოცდილებით ვემსახუროთ ჩვენს საყვარელ ქვეყანას, ჩვენს სამშობლოს. ჩვენი სურვილია, რომ ასეთი სახელმწიფო ავაშენოთ, თავისუფალი და სამართლებრივი.

კიდევ ერთხელ გილოცავთ ყველას ახალ, 2020 წელს! მაცხოვრის შობა ჩვენს გულებში განახლებისა და ნათელი მომავლის რწმენას უკავშირდება. ასეთივე განწყობით ვეგებებით ყოველ ახალ წელს ადამიანები. გისურვებთ ბედნიერებას, ჯანმრთელობას, მშვიდობას, დღეგრძელობასა და კეთილდღეობას!

პატივისცემით,
ირაკლი შიოლაშვილი,

ცხადდება ახალი პროექტი

1. შესავალი (პროგრამის კომპონენტების აღწერის ჩათვლით);

სოფლის განვითარებისთვის მნიშვნელოვანია სოფლად ახალი სამუშაო ადგილების შექმნისთვის შესაბამისი პირობების უზრუნველყოფა, მეწარმეობის განვითარების ხელშეწყობა, ეკონომიკური დივერსიფიკაცია, სოფლის მეურნეობის განვითარებისკენ მიმართული მიზნობრივი ღონისძიებები და სექტორში ინვესტიციების მოზიდვა. ამ მიზნით ევროკავშირის (EU) „სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარების ევროპის სამეზობლო პროგრამის" (ENPARD) დაფინანსებით და გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) მხარდაჭერით ააიპ „სოფლის და სოფლის მეურნეობის განვითარების სააგენტო" (ARDA) ახორციელებს „სოფლის განვითარების პროგრამას".

2. ზოგადი აღწერა, მიზნები და ამოცანები;

პროგრამა ითვალისწინებს სოფლად ეკონომიკური და გარემოსდაცვითი საქმიანობების ხელშეწყობას თანადაფინანსების გზით.

პროგრამის მიზნებია:

(1) სოფლად არასასოფლო-სამეურნეო სამეწარმეო საქმიანობის განვითარების ხელშეწყობა, რაც თავის მხრივ ხელს შეუწყობს მუნიციპალიტეტის ეკონომიკური განვითარების სტიმულირებას, სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებას, ეკონომიკურ დივერსიფიკაციას და ახალი სამუშაო ადგილების შექმნას.

(2) გარემოს დაცვისა და კლიმატის ცვლილებებთან დაკავშირებული გამოწვევების დაძლევა და ბუნებრივი რესურსების ეფექტიანად გამოყენება.

პროგრამის ამოცანებია:

- სოფლად ეკონომიკისა და კონკურენტუნარიანობის ზრდის ხელშეწყობა;
- სოციალური პირობებისა და ცხოვრების დონის გაუმჯობესების ხელშეწყობა;
- გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების მდგრადი მართვის გაუმჯობესება.

3. საკვალიფიკაციო მოთხოვნები

3.1 პროგრამის გეოგრაფიული არეალი

პროგრამის განხორციელების გეოგრაფიული არეალია შემდეგი მუნიციპალიტეტები: ქედა, ხულო, ბორჯომი, ახალქალაქი, თეთრიწყარო, ყაზბეგი, ლაგოდეხი და დედოფლისწყარო.

3.2 პოტენციური ბენეფიციარის საკვალიფიკაციო კრიტერიუმები

პროგრამაში მონაწილეობის უფლება აქვს საქართველოს მოქალაქე მეწარმე ფიზიკურ და იურიდიულ პირს;

პროექტის განსახორციელებლად შერჩეული უძრავი ქონება აქვს საკუთრებაში ან/და მიღებული აქვს იჯარით/აღნაგობით, რომელიც რეგისტრირებულია სსიპ „საჯარო რეესტრის ეროვნულ საგენტოში" (იჯარის/აღნაგობის დარჩენილი პერიოდი თანადაფინანსების ხელშეკრულების გაფორმების დღისათვის უნდა შეადგენდეს არანაკლებ 3 წელს);

უძრავ ქონებას, არ უნდა ედოს ყადაღა ან/და იპოთეკა (დასაშვებია მხოლოდ საქართველოში რეგისტრირებული კომერციული ბანკების იპოთეკა);

ბენეფიციარს არ უნდა გააჩნდეს დავალიანება სახელმწიფო ბიუჯეტის ან/და სსიპ „შემოსავლების სამსახურის" მიმართ.

იმ შემთხვევაში, თუ პოტენციური ბენეფიციარი არის სააგენტოს მიერ განხორციელებული რომელიმე პროექტის/პროგრამის ბენეფიციარი, მას განაცხადის წარდგენის მომენტისთვის არ უნდა ჰქონდეს პროგრამის/პროექტის პირობები დარღვეული.

3.3 აქტივობების/პროექტების დასაშვებობა

პროგრამა ითვალისწინებს იმ ბიზნეს საქმიანობების ფინანსურ მხარდაჭერას, რომლებიც ემსახურება შესაბამის მუნიციპალიტეტებში ეკონომიკური დივერსიფიკაციის მიზნების მიღწევას.

პროგრამის ფარგლებში არ დაფინანსდება პროექტები, რომლებიც უკავშირდება:

1. სამხედრო, ბირთვულ, სპირტის და ალკოჰოლური სასმელების, თამბაქოს, და სახიფათო ნივთიერებების წარმოებას;
2. სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის პირველად და სურსათის წარმოებას (გამონაკლისის სახით დაიშვება ამ საქმიანობებთან დაკავშირებული ენერგოეფექტური და განახლებადი ენერგიების გამოყენების პროექტები);
3. სათამაშო ბიზნესს და აზარტულ თამაშებს;
4. საფინანსო მომსახურებას (მათ შორის სალომბარდო);
5. საქველმოქმედო საქმიანობას;
6. ვაჭრობას.



C M Y K

წლის მოვლენები

2019 წლის **მთავარ მოვლენად** იქცა „გავრილოვის ღამე“, რომელმაც პარლამენტის თავმჯდომარის გადადგომის გარდა ბევრი რამ შეცვალა ქვეყანაში.

ირაკლი კობახიძის გადადგომას ხელისუფლების მორიგი დაპირება მოჰყვა. 24 ივნისს მათ განაცხადეს, რომ 2020 წლის არჩევნები პროპორციული სისტემით ჩატარდებოდა, ნულოვანი ბარიერით. აქციები შეწყდა, ქვეყანა მრავალპარტიული პარლამენტის მოლოდინში რეჟიმში გადავიდა. თუმცა, ეგრეთ წოდებულმა „ამბოხებულმა დეპუტატებმა“ ხელისუფლების დაპირება თავდაყირა დააყენეს და მაჟორიტარული სისტემის ძალაში დატოვება მოითხოვეს. ამ ფაქტმა ყველა ერთის წინააღმდეგ — განსხვავებული პოლიტიკური ორიენტაციის მქონე პარტიები გააერთიანა და სამოქალაქო მოძრაობებთან, არასამთავრობოებთან და რიგით მოქალაქეებთან ერთად ქუჩაში გამოსვლები დაიწყო. ისინი პროპორციული არჩევნების დანიშვნას ითხოვდნენ. მათ პარლამენტის პიკეტირება დაიწყეს, რასაც პოლიციელების მხრიდან ხალხის წყლის ჭავლით დარბევა მოჰყვა.

კიდევ ერთი ხმაურიანი გადაწყვეტილება ჩაითვლება წლის მოვლენად-**მოსამართლეების უვადოდ დანიშვნა.** აქციების, დაპირისპირების, ჩხუბის, ჟურნალისტებზე ძალადობის ფონზე, „ქართულმა ოცნებამ“ მაინც მოახერხა და ზოგი დიპლომიანი, ზოგი კი უდიპლომო მოსამართლე უვადოდ დაამტკიცა. მათ შორის არიან ისეთებიც, რომელთა სახელებს წინა ხელისუფლების დროს მომხდარი ე. წ. გახმაურებული საქმეები უკავშირდება და რომლებსაც თავის დროზე „ქართული ოცნება“ აპროტესტებდა.

დავით გარეჯის საქმე, რომელმაც კვლავ შეახსენა თავი საქართველოს. დიპლომატიური და ძმური ურთიერთობის მიღმა, მეზობელი აზერბაიჯანი ჯიუტად ცდილობს ჩვენი ძეგლის მითვისებას და არცერთი გოჯის დათმობას არ აპირებს.

ემიგრანტმა და დიპლომატმა ფრანგული განათლებით პირველი ქალი პრეზიდენტის სტატუსი კი მოიპოვა, მაგრამ სალომე ზურაბიშვილის ქართული პოლიტიკისთვის არაორდინალური ქცევა ან განცხადებები კვლავ რჩებოდა კრიტიკის ობიექტი.

საქმე, რომელიც 2019 წელსაც ისეთივე აქტუალური იყო, როგორც 2018-ში, რადგან გამოძიება ისევ გრძელდება და არც დანაშაულის ჩადენიდან ერთი წლის შემდეგ არის გაცემული პასუხი კითხვაზე - ვინ მოკლა დავით სარალიძე. 16 წლის მოზარდის მკვლელობამ ქვეყანაში ბევრი რამ შეცვალა, მათ შორის მთავარი პროკურორი.

წლის სკანდალად იქცა პრეზიდენტის შეწყალების აქტი, რომლის შედეგად სალომე ზურაბიშვილმა მძიმე დანაშაულში მსჯავრდადებული პირები შეიწყალა, მათ შორის, პოლიციელ თარაშ მუკბანიანის მკვლელობაში მსჯავრდადებული რამაზ დევაძე. პრეზიდენტის შეწყაკლებულთა შორის აღმოჩნდა, ისტორიკოს გოგი ოთხმეზურის ვაჟის მკვლელობისთვის გასამართლებული ასლან ბეჟანიძე.

ეკლესიის წიაღში დაწყებული გაურკვევლობისა და „ციანიდის საქმის“ გაგრძელება იყო 31 ოქტომბერს სინოდის სკანდალური სხდომა. სხდომიდან ყველაზე პირველი პეტრე ცაავა გამოვიდა, რომელმაც განაცხადა, რომ ის მღვდელმთავრობიდან გადააყენეს. სკანდალური იყო მისი განცხადებებიც - ერს ჰყავს მამათმავლობის ცოდვით შეპყრობილი სინოდის თავმჯდომარე და ქმედებებიც, როდესაც მას პატრიარქთან მოუვიდა სიტყვიერი დაპირისპირება - „წმინდა სინოდმა მიიღო უპრეცედენტო გადაწყვეტილება, პირადად პატრიარქმა მღვდემთავრობიდან განმაყენა“.

2019 წლის დასასრულს, რუსეთის საოკუპაციო რეჟიმმა კვლავ გამოაჩინა ბრჭყალები და ოთხოზორიასა და ტატუნაშვილის შემდეგ უკანონო ტყვეობაში ექიმი ვაჟა გაფრინდაშვილი აიყვანა. მისი სასჯელის ზომაც ცნობილია და მიზეზიც, რატომ არ გაათავისუფლეს ის ცხინვალის ციხიდან. მასაც არ პატიობენ სამშობლოს სიყვარულს და იმას, რომ არ აღიარებს სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობას. საერთაშორისო ორგანიზაციების ჩარევის მიუხედავად, არაღიარებული ქვეყნის სასამართლომ ექიმს თითქმის 2 წლიანი პატიმრობა შეუფარდა.

და ბოლოს, 2019 წლის **ტრაგედია,** რომელმაც კიდევ ერთხელ შეძრა საზოგადოება და გააერთიანა ერი- 15 წლის მოზარდის თვითმკვლელობაა. ამ ტრაგედიამ კიდევ ერთხელ დააფიქრა ყველა და მიახვედრა, რომ სკოლა, ოჯახი და საზოგადოება ერთად უნდა ზრუნავდეს მომავალი თაობის აღზრდაზე და იმაზე, რომ მათ სიყვარულის დეფიციტი არ შევუქმნათ.

დედოფლისწყარო და 2019 წელი

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტისთვის **წლის მოვლენად** შეიძლება შეფასდეს „საუკუნის პროექტად“ წოდებული ქედების ზონის გაზმომარაგების საკითხი. ცისფერი ალი მალე სამივე სოფლის მცხოვრებთა სახლებში აინთება.

მთავარ მიღწევად უნდა ჩაითვალის დედოფლისწყაროში ბიოსფერული რეზერვატის მშენებლობა, რომელიც ჩვენს რაიონს ეკონომიკური განვითარების შესაძლებლობას მისცემს.

თუმცა, წარმატებული ინფრასტრუქტურული თუ სხვა სახის პროექტების მიღმა ადგილობრივი ხელისუფლების **მთავარ გამოწვევად** რჩება სასმელი წყლის მიწოდების საკითხი. დედოფლისწყაროელთათვის ის „აქილევსის ქუსლად“ იქცა და მისი მოგვარება ვერაფრით მოხერხდა.

2019 წელს ხმაურიანი და პრობლემებით სავსე აღმოჩნდა ქართულ-ამერიკული ნავთობმომპოვებელი კომპანია „ფრონტერა ისტერნ ჯორჯია“-ს დედოფლისწყაროელი თანამშრომლებისთვის. მათ მიმართ კომპანიას 10 თვიანი სახელფასო დავალიანება აქვს. კომპანიის აღმასრულებელ დირექტორთან ზაზა მამულაიშვილთან არაერთგზის შეხვედრისა და შეუსრულებელი დაპირებების შემდეგ, დაზარალებულებმა საპროტესტო აქციები ამერიკის საელჩოსთანაც გამართეს და სამართლებრივი ბრძოლაც დაიწყეს. მიუხედავად იმისა, რომ მათ მხარს ყველა სახელმწიფო სტრუქტურა უჭერს, დავალიანებების დაფარვის სანაცვლოდ სამსახურიდან გათავისუფლებების ბრძანებები მიიღეს „შრომითი ხელშეკრულების დარღვევის გამო“(?!). /ანუ, მორალი ასეთია- მე თუ ვარღვევ, ეს დანაშაული არაა და შენ თუ არღვევ, კი! /

2019 წლის **მთავარი დაპირება** კი ასე ჟღერს- 2020-ში ხორნაბუჯს ახალი საბავშვო ბაღი ექნება, ქედელებს-ბუნებრივი აირი, საბათლოს-გზა, მთელ დედოფლისწყაროს კი-სასწრაფო-სამედიცინო დახმარების ცენტრის ახალი შენობა.



სპორტი

2019 წელი სპორტული მიღწევების თვალსაზრისით. სხვადასხვა ტურნირებსა თუ ჩემპიონატებზე ჩვენმა სპორტსმენებმა მრავალი მედალი და პრიზი ჩამოიტანეს. საქართველოს ჩემპიონები კიკბოქსინგში გახდნენ:

ვალერი რამაზანაშვილი
მალხაზ ჯაგაშვილი
თამაზ ღვინიაშვილი
თეონა ფიროსმანაშვილი
ნინო ღვინიაშვილი

საერთაშორისო ტურნირი კიკბოქსინგში (შვეიცარია): გაიმარჯვა ნოდარ ცხოვრებაძემ

საერთაშორისო ტურნირი კიკბოქსინგში (აზერბაიჯანი): გაიმარჯვა ნიკა ფიროსმანაშვილმა

საერთაშორისო ტურნირი კრივში (გერმანია,ბერლინი): გაიმარჯვა ლევან წიკლაურმა

K-1 ტურნირი კიკბოქსინგში (აზერბაიჯანი, ბაქო): გაიმარჯვა არსენ ყარაგვეზაშვილმა და ნოდარ ცხოვრებაძემ.

უშუ-სანდა-ს (მწვრთნელი გიორგი ცისკარაული) მიღწევები ასე გამოიყურება:

1)ნიკა ჩიტიშვილი - ა) ევროპის ჩემპიონი; ბ) საერთაშორისო ტურნირი „უშუს ვარსკვლავი“ მოსკოვში - მე-2 ადგილი

2)ბათუმის ა კატეგორიის საერთაშორისო ტურნირი; ოთხი პირველი ადგილი:

1.გივი გოჩიტაშვილი
2.ლუკა პოპიაშვილი
3.ნიკა ჩიტიშვილი
4.გიორგი წიკლაური

ძიუდო – მწვრთნელი კახა წიკლაური

1)ლაშა ბექაური - მსოფლიოს ჩემპიონი, ევროპის ჩემპიონი და ჩინეთის მასტერსის ტურნირის გამარჯვებული; საქართველოს საუკეთესო ძიუდოისტი (ძიუდოს ფედერაციის შეფასებით)

2)ნიკა მუშტარაული - უმცროსი ასაკის 18 წლამდე ჭაბუკებში ორი საერთაშორისო ტურნირის გამარჯვებული.

ძალისმიერი სამჭიდი – მწვრთნელი მიხეილ სეხნიაშვილი.

მსოფლიო თასის ჩემპიონატი ძალისმიერ სამჭიდში (IPSU) ვერსიით:

1.თედო ვარდიაშვილი - პირველი ადგილი
2.ნუკრი ქოზაშვილი - პირველი ადგილი
3.მიშიკო ზუბიაშვილი - პირველი ადგილი
4.ვასიკო ჩივაძე - პირველი ადგილი
5.ნიკა მესხი - პირველი ადგილი
6.გიორგი ქართველიშვილი - პირველი ადგილი

საერთაშორისო და შიდა ტურნირებზე უამრავი პირველი და მეორე ადგილები.

ასევე აღსანიშნავია კლუბ „ლეგიონის“ მორიგი წარმატება წლის ბოლოსთვის. 21-22 დეკემბერს ქ. თელავში ჩატარდა გიორგი რეხვიაშვილის სახელობის თასის VII გათამაშება ძალისმიერ სამჭიდსა და წოლჭიმში, სადაც მონაწილეობა მიიღო თელავის , დედოფლისწყაროს, თბილისის სხვადასხვა კლუბებმა, შსს სამინისტროს გუნდმა, ა(ა)იპ სიღნაღის მუნიციპალიტეტის კომპლექსური სასპორტო სკოლის წოლჭიმის სექციამ და სიღნაღის ძალისმიერი სამჭიდის კლუბმა, ახალციხის, რუსთავის და გურჯაანის სპორტულმა კლუბებმა. ჩვენმა გუნდმა ძალისმიერ სამჭიდში-5 სპორტსმენი გამოიყვანა და 4 პირველი ადგილი მოიპოვა და ერთი მეორე ადგილი. გარდა ამისა, გუნდურ პირველობაშიც მოიპოვა მეორე ადგილი. ამავე დღეს დისციპლინა - ამოწევაშიც გუნდმა 3 პირველი ადგილი მოიპოვა. მეორე დღეს, ძალისმიერ წოლჭიმში და ბიცეფსის დისციპლინაში გუნდმა კვლავ 4 სპორტსმენი გამოიყვანა და 2 პირველი და 2 მეორე ადგილი და გუნდური-3 ადგილი მოიპოვა. სამწუხაროა, რომ დაფინანსების უქონლობის გამო-15 გამოცდილი სპორტსმენი, ვერ გამოვიდა შეჯიბრზე. რაც აისახა კიდეც გუნდურ შედეგებზე.

საგულისხმოა ის ფაქტიც, რომ სამი წლის განმავლობაში (2017–2018–2019წწ) რაც ჩვენი გუნდი მონაწილეობას იღებს ძალისმიერი სამჭიდის სამი ფედერაციის: IPF, IPSU და POWERLIFTING-ის კლუბების შეჯიბრებებს შორის, დედოფლისწყაროს კლუბი „ლეგიონი“ თითოეულ შეჯიბრზე ყოველთვის იყო საპრიზო სამეულში.

კიდევ რამდენიმე საინტერესო სიახლე იგეგმება სპორტის ცენტრში.

60 000 ევრო (თანადაფინანსების თანხა შეადგენს 26 000 ევროს) დაიხარჯება ცენტრალური სტადიონის რეაბილიტაციაზე. მოეწყობა ფრენბურთისა და კალათბურთის მოედნები. გაფართოვდება შენობა, დაემატება საშხაპე კაბინები, მსაჯებისა და მედპერსონალის ოთახები. მოეწყობა ნახევრად ღია სატრენაჟორო კუთხე.

კიდევ ერთი პროექტი განხორციელდება სპორტისა და ახალგაზრდობის ცენტრის სავარჯიშო დარბაზში. „HEKSEPER“-ის დაფინანსებით განხორციელდება დარბაზის რეაბილიტაცია და ახალი სავარჯიშო დანადგარებით აღწურვა.

ახალგაზრდობა

დედოფლისწყაროში, მუნიციპალიტეტის სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა ცენტრის ბაზაზე, ჰექსეპერის დაფინანსებით, ახალგაზრდობის ცენტრი გაიხსნა. როგორც ცენტრის ხელმძღვანელმა ლელა ბიღიაშვილმა გაზეთ „შირაქს“ განუცხადა, დაფუძნდა „უფროსკლასელთა ლიგა“, რომელთაც განახორციელეს უამრავი აქტივობა, კერძოდ, უფროსკლასელთათვის ჩატარდა ესსეების კონკურსი თემაზე:“თანამედროვე ახალგაზრდობის პრობლემები“. ესსეების კონკურსში გაიმარჯვეს: ელენე ჩოხელმა (ქ.ქედის №2 საჯარო სკოლა) და ნინო ფიროსმანაშვილმა(გამარჯვების საჯარო სკოლა). 26 მაისს ისინი დაჯილდოვდნენ ფასიანი პრიზებით.

9აპრილს, ჩვენი ქვეყნისთვის უმნიშვნელოვანეს თარიღსა და მის მნიშვნელობაზე გაიმართა საგანმანათლებლო საუბრები უმცროსკლასელებთან.

დედამიწისა და გამარჯვების დღეების აღსანიშნავად „ახალგაზრდული ლიგის“ წევრებმა დაასუფთავეს გარემო და შინმოუსვლელთა ობელისკები, წიგნის ჩუქების დღესთან დაკავშირებით აჩუქეს ერთმანეთს წიგნები, ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით განახორციელეს სპორტული აქტივობები.

განსაკუთრებული ინტერესით ჩაერთვნენ ფოტოკონკურსში „დარაბებს მიღმა ჩემი სოფელი“, სადაც გამოვლინდა გამარჯვებული თინიკო აჩელაშვილი.

ახალგაზრდული სამსახურის მიერ უკვე ტრადიციად იქცა ინტელექტუალური თამაშის „რა, სად, როდის?“ ჩატარება. წელს გაიმართა ამირან ბიღიაშვილის სახელობის ტურნირი ჭადრაკში, სხვადასხვა ასაკობრივ კატეგორიაში. გამოვლინდნენ გამარჯვებულები, რომლებიც დაჯილდოვდნენ ფულადი პრიზებით და სამახსოვრო საჩუქრებით.

გვერდის მასალები მოამზადა ინგა შიოლაშვილმა

სოციალური სფერო და ჯანდაცვა

საქართველოში მცხოვრებ მოქალაქეთა სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესება სახელმწიფო სოციალური პოლიტიკის ერთ-ერთი პრიორიტეტია. სიღარიბის დაძლევის პროგრამების მიუხედავად, სოციალური ფონი კვლავ არასასურველია. დიდია იმ ადამიანების რიცხვი, რომლებიც საჭიროებენ დახმარებას. „დედოფლისწყაროში მცხოვრები სოციალურად დაუცველი ადამიანების დახმარების მიზნით მოქმედებს მოქალაქეების მინიმალური სოციალური პაკეტი, რომელიც უზრუნველყოფს მოქალაქეთა ჯანმრთელობის მდგომარეობის რეაბილიტაციისა და გაუმჯობესებისათვის ხელშეწყობას, უკიდურესად გაჭირვებულ ადამიანთა ჩართვას უფასო კვების ობიექტში, ჰემოდიალიზზე მყოფი მოქალაქეების, აუტიზმისა და დაუნის სინდრომის მქონე ბავშვთა დახმარებას. ეს პროგრამა ეხმარება ასევე ობოლ და მარჩენალდაკარგულ ბავშვებს, მარტოხელა მშობლებსა და მრავალშვილიან ოჯახებს, ხანძრით, მიწისძვრით თუ ბუნებრივი კატასტროფით დაზარალებულ ოჯახებს...

დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით, ახალდაბადებული ბავშვის ოჯახებს ერთჯერადად ეძლევათ 300 ლარი. 2019 წელს ეს თანხა 182 ოჯახს გადაეცა.

ხანძრითა და სტიქიური უბედურებით დაზარალებული 23 ოჯახი დაკმაყოფილდა ბინით, რომლის ქირის საფასურიც და კომუნალური გადასახადებიც მუნიციპალიტეტის ადგილობრივმა ბიუჯეტმა დაფარა. სოციალურად დაუცველმა 800 ოჯახმა ისარგებლა გათბობის ხარჯით. აუტიზმისა და დაუნის სინდრომის მქონე 9 ბავშვი დაფინანსდა ერთჯერადად 500 ლარით... 243 ოჯახმა მიიღო ყოველთვიური ფულადი დახმარება მოხმარებული ელექტროენერგიის და ბუნებრივი აირის დასაფარად.

62 მრავალშვილიან ოჯახს გაეწია ფინანსური დახმარება, სამედიცინო მომსახურების თანადაფინანსება მიიღო 311 ადამიანმა.

როგორც ხედავთ, ჩამონათვალი საკმაოდ დიდია, ადამიანთა რიცხვი, რომლებიც დახმარებას საჭიროებენ, კიდევ უფრო დიდი. ჩვენ ვცდილობთ, შესაძლებლობის ფარგლებში, დავეხმაროთ ყველას, ვინც ჩვენგან შველას ელის“-ამბობს დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სოციალური სამსახურის უფროსი დოდო ხუნაშვილი.

დედოფლისწყაროში ჯანდაცვის უკეთ ხელმისაწვდომობის მიზნით წითელიჯვრის ორგანიზაციის ოფისი მოქმედებს. საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოება–ნებაყოფლობითი, ჰუმანიტარული, არასამთავრობო, ჰუმანიტარული საქმიანობის სფეროში ხელისუფლების დამხმარე დამოუკიდებელი ორგანიზაციაა. საზოგადოებას რეგიონული და ადგილობრივი განყოფილებები აქვს ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე. 2017 წლის ბოლოს ანტალიაში გამართულ წითელი ჯვრისა და წითელი ნახევარმთვარის საზოგადოებათა საერთაშორისო ფედერაციის გენერალურ ასამბლეაზე საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოება მმართველ საბჭოში აირჩიეს, სადაც მას პრეზიდენტი ნათია ლოლაძე წარმოადგენდა. **რას წარმოადგენს მმართველი საბჭო და როგორი არის საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოების როლი?**

„საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოება მისი არსებობის ისტორიაში პირველად გახდა მსოფლიოს უდიდესი ჰუმანიტარული ქსელის მმართველი საბჭოს წევრი, რაც დიდი პატივი და პასუხისმგებლობაა ჩვენი ეროვნული საზოგადოებისთვის. მე და ჩემს გუნდს გვჯეროდა ამ წარმატების, ჩვენ ოთხი წელი ვემზადებოდით ამ მიზნის მისაღწევად. აი, მომდევნო ოთხი წელი კი გვიჩვენებს, რამდენად დროული და ეფექტიანი გადაწყვეტილებები იქნება მიღებული ჩვენ მიერ ყველა იმ საკითხთან დაკავშირებით, რასაც გენერალური ასამბლეა გვავალდებულებს. ზემოაღნიშნულ საბჭოს ირჩევს 190 ქვეყნის ეროვნული საზოგადოების წარმომადგენელი ოთხი წლის ვადით და მის შემადგენლობაში შედის წითელი ჯვრისა და წითელი ნახევარმთვარის საზოგადოებათა საერთაშორისო ფედერაციის პრეზიდენტი, ხუთი ვიცეპრეზიდენტი და 20 ქვეყნის ეროვნული საზოგადოების ხელმძღვანელი პირი. ჩემი, როგორც საბჭოს წევრის როლი, უმნიშვნელოვანესია, რადგან მე წარმოვადგენ არა მარტო ჩვენს ქვეყანას და საქართველოს წითელ ჯვარს, არამედ ყველა იმ ეროვნულ საზოგადოებას, რომელმაც ნდობა გამოგვიცხადა და არჩევანი ჩვენზე შეაჩერა. ჩემს კოლეგებთან ერთად აქტიურად ვიქნები ჩართული იმ პროცესებში, რომლებიც წითელი ჯვრისა და წითელი ნახევარმთვარის საზოგადოებათა საერთაშორისო ფედერაციას მისცემს შესაძლებლობას, სათანადო რეაგირება მოახდინოს მსოფლიოში არსებულ გამოწვევებზე და კიდევ უფრო გაძლიერდეს მისი პოზიცია ჰუმანიტარულ სფეროში.

რაც შეეხება საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოების აღიარებას საერთაშორისო ასპარეზზე, ეს უდავოდ დიდი წარმატება და კიდევ ერთი წინ გადადგმული ნაბიჯია როგორც ჩვენი ორგანიზაციისა და ქვეყნისათვის, ასევე ჩემთვის როგორც ხელმძღვანელისთვის და ლიდერისთვის. მჯერა, რომ ბრძოლას ყოველთვის აქვს აზრი. სწორედ ამიტომ უდიდესი კონკურენციის პირობებში ჩვენ შევძელით მმართველ საბჭოში დაგვეკავებინა ადგილი დონორი ეროვნული საზოგადოებების გვერდით, რომლებიც სხვადასხვა ეროვნული საზოგადოების ძირითადი დონორები არიან. ჩვენს უპირატესობად კი მივიჩნევ მიზანდასახულ, დიდი გამოცდილების მქონე პროფესიონალთა გუნდს, ქართული დელეგაციის წევრებს, თითოეულ მოხალისესა თუ თანამშრომელს, რომელთა თავდაუზოგავმა შრომამ ეს დიდი წარმატება მოგვიტანა.“

საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოების დედოფლისწყაროს ადგილობრივი ორგანიზაცია, რომელიც დედოფლისწყაროში პირველადი ჯანდაცვის კლინიკის სახით არის წარმოდგენილი, ადგილობრივ სოციალურად დაუცველ მოსახლეობას აქტიურად უწევს სხვადასხვა ტიპის დახმარებას. ეს იქნება ექოსკოპიური თუ ლაბორატორიული გამოკვლევები, თვალის, კარდიოლოგიური თუ გინეკოლოგიური მომსახურება. გარდა ამისა, ორგანიზაცია საქველმოქმედო აქციებსაც ხშირად ატარებს და ცდილობს, სოციალურად დაუცველ და მრავალშვილიან ოჯახებს მცირედითაც კი დაეხმაროს.

საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოების დედოფლისწყაროს ადგილობრივი ორგანიზაციის ხელმძღვანელს, წითელი ჯვრის პირველადი ჯანდაცვის კლინიკის მენეჯერს ნათელა თამაზაშვილს გასული 2019 წლის შედეგებზე გავესაუბრეთ: **„გარდა იმისა, რომ ვემსახურებით რაიონის სოციალურად დაუცველ მოსახლეობას, გვაქვს აგრეთვე გასვლები სოფლებში და ვეხმარებით მოსახლეობას,ვატარებთ სხვადასხვა აქციებს. ეს ყოველდღიური ცხოვრების წესად გვაქვს დანერგილი. საქართველოს სხვადასხვა რეგიონში გვაქვს ვიზიტები . წელს ჩვენ ვიყავით ბათუმში, სიღნაღში, ახმეტაში, პანკისის ხეობაში, ჩხოროწყუს სოფლებში,ზუგდიდში, გარდაბანში. ვასრულებთ ჩვენს მისიას და გვყავს უამრავი მადლიერი ადამიანი. უნდა ითქვას, რომ 2019 წელი ძალიან ნაყოფიერი იყო ჩვენი ორგანიზაციის სხვადასხვა რეგიონის წარმომადგენლებთან ურთიერთობისა და თანამშრომლობის კუთხით.“**

საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოების ადგილობრივი ორგანიზაციის საექიმო კაბინეტის 2019 წლის გასვლით აქციებზე მიღებული პაციენტების რაოდენობაა - 2262. სამედიცინო კაბინეტებში მიღებული პაციენტების რაოდენობა კი -1052. სულ მთლიანად მიღებული პაციენტთა რაოდენობამ -3314 შეადგინა.

საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოების დედოფლისწყაროს ადგილობრივი ორგანიზაცია უკეთესი მომავლის იმედით ულოცავს დამდეგ, ახალ 2020 წელს ჩვენი მუნიციპალიტეტის მაცხოვრებლებს

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სოციალური სამსახურის უფროსი ქალბატონი დოდო ხუნაშვილი სოციალურ მომსახურებებზე, შშმ პირებისთვის განკუთვნილ სიკეთეებზე, სტატისტიკურ მონაცემებსა და 2019 წელს განხორციელებულ პროექტებზე გვესაუბრა: „წელს 18 წლამდე ასაკის შშმ პირის სტატუსის მქონე პირებად სააგენტოში დაფიქსირებულია 39 ადამიანი. ჩვენთან მათი დაფიქსირება ხდება სარეიტინგო ქულების მიხედვით და აღრიცხვაზე გვყავს 13 შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე 18 წლამდე ასაკის ბავშვი და 92 მკვეთრად შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე პირი. ეს არის დღევანდელი მონაცემებით ჩვენი სტატისტიკა. ჩვენს მუნიციპალიტეტში დიდი ყურადღება ეთმობა შეზღუდული შესაძლებლობების სტატუსის მქონე მოქალაქეებს. ამას საერთაშორისო კონვენციაც გვავალდებულებს. შესაბამისი კანონები არსებობს ამასთან დაკავშირებით და ჩვენც მზად ვართ კანონით გათვალისწინებული დახმარება გაუწიოთ მათ. სოციალური დახმარების წესი, რომელიც დადგენილია დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 20 დეკემბრის, 71-ე დადგენილებით, გულისხმობს იმას, რომ მკვეთრად შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე პირებს და 18 წლამდე ასაკის შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე ბავშვებს ვეხმარებით ჩვენ სხვადასხვა კუთხით, აგრეთვე ე.წ. მეორე ჯგუფის ინვალიდებს. ეს არის ყოველთვიური და ერთჯერადი ფინანსური დახმარებაც. ბენეფიციარი,რომელზეც არის გათვლილი ჩვენი სოციალური დახმარება და აკმაყოფილებს დადგენილი წესით გათვალისწინებულ პირობებს, მას აუცილებლად ვეხმარებით თვეში 18 ლარით, მოხმარებული ელექტროენერგიის ან ბუნებრივი აირის ღირებულების დასაფარად. ამ შემთხვევაში ბენეფიციარი ვალდებულია წარმოგვიდგინოს შესაბამისი დოკუმენტები,სტატუსის დამადასტურებელი დოკუმენტი,აბონენტის ნომერი და სად უნდა ჩავურიცხოთ ეს თანხა. თუ მას გააჩნია 150 000-მდე ოჯახის სარეიტინგო ქულა, ჩვენ მას ვეხმარებით ყოველთვიურად. ეს დახმარება დამოკიდებულია ბენეფიციარის სურვილზე,თვითონ არჩევს ელექტროენერგიის გადასახადის დაფარვა ურჩევნია თუ ბუნებრივი აირის. ვინაიდან ჩვენი პროგრამა არის ერთწლიანი, გვაქვს ასეთი შეღავათიც,12 თვის განმავლობაში,ამოირჩიოს თავისი სურვილით,რამოდენიმე თვე ელექტროენერგიის გადასახადი ჩავურიცხოთ და დანარჩენი ბუნებრივი აირის. ვაძლევთ მანევრირების საშუალებას. გვაქვს აგრეთვე 18 წლამდე შშმ ბავშვთა ოჯახების დახმარება. წინა წლებში შედარებით დაბალი იყო ეს თანხა, გასულ წელს გაიზარდა და გახდა 18 ლარი. გვაქვს აგრეთვე მნიშვნელოვნად გამოხატული შშმ პირების ერთჯერადი დახმარებაც,რომელიც გულისხმობს,ზამთრის სეზონზე ერთჯერადად,გათბობის ხარჯის უზრუნველყოფის მიზნით,100 ლარის ოდენობით ერთჯერად ფულად დახმარებას (ანუ ე.წ. შეშის თანხა). ბენეფიციარს მოაქვს ბანკიდან ანგარიშის ნომერი და ჩვენ ამ ანგარიშის ნომერზე ვურიცხავთ 100 ლარს. წლის დასაწყისში გვიმტკიცდება სოციალური დახმარების გაცემის ახალ წესი და ჩვენი სოციალური დახმარების პროგრამაც დგება წინა წლების პროგრამების სტატისტიკიდან გამომდინარე. ანალიზის საშუალებით გათვლებს ვაკეთებთ როგორი მდგომარეობა იქნება მომავალ წელს. შესაბამისად ბიუჯეტიც ამის მიხედვით დგება. გვაქვს ქვეპროგრამებიც სამედიცინო კუთხით. სამედიცინო მომსახურების დაფინანსებით, უფასო კვების ობიექტით სარგებლობის და გარდა მკვეთრად შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე პირებისა და 18 წლამდე ასაკის ბავშვებისა, ერთჯერადი ფინანსური დახმარებით სარგებლობენ მნიშვნელოვნად გამიხატული შეზრუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე პირებიც. აქტიურად ვთანამშრომლობთ არასამთავრობო ორგანიზაცია „საქართველოს ქალები მშვიდობისა და სიცოცხლისათვის“. მკვეთრად შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები თითქმის სრულად არიან უზრუნველყოფილი ეტლებით.ორგანიზაცია უანგაროდ ეხმარება შშმ პირებს და ჩვენ მადლობის მეტი რა გვეთქმის. ძალიან მარტივად,ყოველგვარი ბარიერების გარეშე მიმდინარეობს ეს პროცესი. ჩვენთან მოაქვთ ფორმა ასი და ექიმის კომპეტენტური დასკვნის შემდეგ,რომ ეს პიროვნება საჭიროებს ეტლს,ხდება მათი დაკმაყოფილება.თანაც ეს ერთჯერადი პროცესი კი არ არის,ეტლის დაზიანების შემთხვევაში შეუძლია მოგვმართოს ბენეფიციარმა და ორგანიზაცია მოაგვარებს ყველანაირ პრობლემას. ამისთვის დიდი მადლობა მათ,რომ თავისი თანადგომით ახარებენ ჩვენს ბენეფიციარებს. ხშირად ინფრასტრუქტურის სამინისტროდან მოდის წერილები შშმ პირებთან დაკავშირებით თუ რა კეთდება ამ კუთხით მათ დასახმარებლად.მინდა გითხრათ,რომ ძირითადი დაწესებულებები აღჭურვილია პანდუსებით და აქვს სრული ხელმისაწვდომობა ამ კუთხით,რომ თავი არ იგრძნონ დიკრიმინირებულად. ბოლოს დავძენ,რომ ჩვენი ბენეფიციარები კმაყოფილები არიან,რადგან ჩვენ ყოველმხრივ ვცდილობთ გავაუმჯობესოთ მათი ცხოვრების პირობები..

მოამზადა
ხათუნა გენაშვილმა

კულტურა, როგორც სავიზიტო ბარათი და კეთილი ნების ელჩი

საქართველოს უნიკალური კულტურა და თვითმყოფადი ავთენტური მემკვიდრეობა ქვეყნის სავიზიტო ბარათია. კულტურასთან ბავშვობიდან ზიარება ამდიდრებს ადამიანის შემოქმედებით უნარებს, წარმოსახვას... ეროვნულ კულტურას ნაზიარები მოზარდი მოაზროვნე, განათლებულ და რაფინირებულ ახალგაზრდად ყალიბდება. ევროპისა და აზიის გასაყარზე მდებარე ქვეყნისთვის, კულტურათაშორისი კომუნიკაცია ეროვნული იდენტობის განვითარების მნიშვნელოვან რესურსს წარმოადგენს. საქართველოს კულტურული მემკვიდრეობისა თუ შემოქმედებითი პოტენციალის მსოფლიო აღიარება, ქართული შემოქმედებითი ინდუსტრიების საერთაშორისო ბრენდირება უზრუნველყოფს ქვეყნის რეგიონულ კულტურულ ცენტრად ჩამოყალიბებას და ქვეყნის მსოფლიო რუკაზე წარმატებით დამკვიდრებას.

დედოფლისწყაროში დაბადებულმა თვითნაბადმა ნიჭმა, ნიკო ფიროსმანის სახით, მსოფლიოს გააცნო საქართველოც და ჩვენი რაიონიც. ის ერთგვარ კეთილი ნების ელჩადაც იქცა საქართველოსა და ბევრ ქვეყანას შორის. ამიტომ კულტურის ფასი კარგად იციან ჩვენთან. რა მიღწევებით გამოირჩეოდა 2019 წელი დედოფლისწყაროში? – ამის შესახებ „შირაქს“ **მუნიციპალიტეტის კულტურისა და ძეგლთა დაცვის ცენტრის დირექტორი** ილია მარტყოფლიშვილი ესაუბრება:

– 2019 წელს მნიშვნელოვნად გაიზარდა კულტურის ხელმისაწვდომობა სოფლებში. ეს ტენდენცია გამორჩეულად მნიშვნელოვანია ადმინისტრაციულ ცენტრს მოწყვეტილ და ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ თემებში. წელს პირველად, კულტურის ცენტრმა მოახერხა ეთნიკური უმცირესობები ჩაერთო ახალგაზრდულ თეატრში. განათლების სამინისტროს მცირე საგრანტო პროგრამის ფარგლებში ჩვენს მიერ დაფუძნებულმა ახალგაზრდულმა თეატრმა „ბერიკონი“ ნოდარ დუმბაძის ნაწარმოების მიხედვით მოამზადა სპექტაკლი „ერთი მზის შვილები“, სადაც მთავარ და ეპიზოდურ როლებში 12 ეთნიკურად ბოშა მოსწავლე მონაწილეობდა. თეატრში ჩართვამდე მათ ჰქონდათ ენის ბარიერი და კომუნიკაციის პრობლემა. შედეგად მიღწეულია მათი სრული ინტეგრაცია თანატოლებთან, დაძლეულია ენობრივი ბარიერი, მნიშვნელოვნად განვითარდა მათი დეკლამატორული უნარები. ბავშვთა სტუდიაში „არლეკინო“ განევრიანდა რამდენიმე შშმ პირი, რომლებსაც სხვადასხვა ღონისძიებებში მონაწილეობის შესაძლებლობა ეძლევათ.

– რა მოვლენას დაასახელებდით ამ წლის მთავარ სიახლედ?

– 2019 წლის სიახლედ შეიძლება თამამად დასახელდეს კულტურის სახლის ამოქმედება ქვემო ქედში. სოფელში, სადაც ვაჟა-ფშაველას მიერ ჩამოსახლებული ფშავლები ცხოვრობენ, 90-იანი წლების შემდეგ აღარ მოქმედებდა კულტურის სახლი. 2018 წელს კი მოხერხდა ახალ შენობაში შექმნილიყო სოფლის კულტურის განყოფილება. წელს ოთახი აღიჭურვა ახალი ავეჯით, გამოიყო პედაგოგი და 2019 წლისთვის იქ უკვე არაერთი საბავშვო ანსამბლი ამოქმედდა რამდენიმე ასაკობრივ ჯგუფში. ისინი წარმატებით მონაწილეობენ სხვადასხვა ღონისძიებებში. შედეგად, სოფლის კულტურული ცხოვრება მნიშვნელოვნად გამოცოცხლებულია. დედოფლისწყაროს სოფლების უმრავლესობაში მოქმედებს კულტურის სახლი. ადგილობრივ მოსახლეობას შეუძლია ისარგებლოს სხვადასხვა წრეებით, რომელიც უფასოდაა ხელმისაწვდომი მათი შვილებისთვის. წელს პირველად, არხილოსკალოში, ეპარქიის დახმარებით, ხატწერის პედაგოგი გიორგი კოხოძე მოვიწვიეთ, რომელმაც შექმნა ხატვის შემსწავლელი უფასო წრე. ბავშვებს იმდენად მოეწონათ ხატვის გაკვეთილები, რომ გაზრდილი მოთხოვნის გამო დაემატა სოფელი ზემო ქედიც. საკუთარი შემოქმედების პრეზენტაცია მოსწავლეებმა ნახატების გამოფენაზე მოახდინეს და საზოგადოების მოწონება დაიმსახურეს.

– ამ სიახლეებისა და წარმატების მიღმა თქვენს სფეროში არსებობს პრობლემებიც. მაგალითად, ვიცით, რომ მხარეთმცოდნეობის მუზეუმს არ აქვს შესაბამისი საგამოფენო დარბაზი, სადაც სრულად მოხდება უნიკალური ნივთების გამოფენა. სწორედ ამ მიზეზით, ბევრ ექსპონატს მზის სინათლე, დიდი ხანია, არ უნახავს...

– ადგილობრივი ბიუჯეტისა და ევროკავშირის საგრანტო პროექტის თანადაფინანსებით, დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის კულტურის და ძეგლთა დაცვის ცენტრი ახორციელებს პროექტს, რომელის მიხედვითაც დედოფლისწყაროს მხარეთმცოდნეობის მუზეუმის საგამოფენო დარბაზების, სველი წერტილების და მუზეუმის ეზოს კეთილმოწყობა მიმდინარეობს. სამუშაოები 2019 წლის მეორე ნახევარში დაიწყო და ამ დრომდე გრძელდება. მივილებთ თანამედროვე და კომფორტულ საგამოფენო დარბაზებს, სადაც მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე აღმოჩენილი სხვადასხვა ნივთები გამოიფინება. ამ დრომდე მუზეუმს არ გააჩნია სათანადო სივრცე და პირობები, სადაც შევძლებთ სრულად გამოიფინოს ყველა ის ფასეულობა, რაც ფონდში ინახება. დამთვალიერებლებისა და ტურისტებისთვის ბევრი არტეფაქტი კვლავაც მიუწვდომელია.

ეტაპობრივად ვცდილობთ, თანამშრომელთა შრომაც სათანადოდ დაფასდეს, განსაკუთრებით შემოქმედებითი მუშაკების... წლის ბოლოს მოვახერხეთ ბიბლიოთეკის თანამშრომლებისთვის ხელფასების მატება, ცვლილება სოფლის ფილიალებსაც შეეხოთ. ისევ დაბალი ანაზღაურება რჩება მუზეუმებში, ვეცდებით, სამომავლოდ ხელფასების ზრდა მათაც შეეხოთ.

– დედოფლისწყაროში ტრადიციული ხელსაქმის შესაწავლასა და განვითარებას ხელშეწყობა სჭირდება. რას აკეთებს ამ მიზნით კულტურის სამსახური?

– დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტში მეწარმეობას და რეწვას ადგილობრივი ხელისუფლების მხრიდან მნიშვნელოვანი ყურადღება ეთმობა. სოფლების უმრავლესობაში კულტურის სახლებში მოქმედებს სხვადასხვა ხელსაქმის და რეწვის წრეები, სადაც როგორც ზრდასრულებს, ისე მოზარდებს ეძლევათ შესაძლებლობა უფასოდ დაეუფლონ და შეისწავლონ მათთვის სასურველი საქმე. კულტურის ცენტრი ხშირად მართავს გამოფენა-გაყიდვებს, სადაც მათი ნამუშევრებია წარმოდგენილი. წრეებს რამდენიმე სასულიერო პირიც ხელმძღვანელობს.



დედოფლისწყაროს მხარეთმცოდნეობის მუზეუმის ბაზაზე მოქმედებს ხელგარჯილობის წრე, სადაც ხელნაკეთ ნივთების დამზადებას, თაბაშირზე, თექაზე და მძივების გამოყენებით სწავლობენ. ქმნიან თოჯინებს, ნახატებს, ყელსაბამებს და სხვა. ჯგუფში გაწევრიანებულები არიან შშმ მოზარდებიც. პროცესში ჩართულნი არიან ისეთი სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეებიც, რომლებიც მუზეუმის შენობაში სიარულს ვერ ახერხებენ, ასეთ დროს, სკოლის სპეცმასწავლებელთან ერთად წრის ხელმძღვანელი თავად სტუმრობს მათ სკოლაში მდებარე სპეციალურ საკლასო რესურსოთახს და აქტივობებს იქ ახორციელებს. ხელგარჯილობის წრე სხვადასხვა მცირე საგრანტო პროგრამების მხარდაჭერით ხშირად ახორციელებს ე.წ. „სოციალური საწარმოს“ პროექტს, ყოველწლიურად იმართება ხელნაკეთი ნივთების გამოფენა-გაყიდვა როგორც მუზეუმის საგამოფენო დარბაზში, ისე სხვადასხვა ფესტივალებზე ღია ცის ქვეშ. 2017 წელს ერთ-ერთი ასეთი პროექტის დროს მოხდა სოციალურად დაუცველი და შშმ მოზარდების ჩართვა ხელგარჯილობის წრეზე, სადაც მათ სხვადასხვა ნივთები დაამზადეს, შემდგომში მათი რეალიზაცია მოხდა გამოფენა-გაყიდვაზე. ღონისძიებას დონორი „ევროპის ფონდის“ წარმომადგენლებიც ესწრებოდნენ.

– ხდება თუ არა ნიჭიერი და წარმატებული ახალგაზრდების წახალისება და როგორ?

– შემოქმედებითი ანსამბლების, თეატრის, გუნდების წახალისების მიზნით, მუნიციპალიტეტი ადგილობრივი ბიუჯეტიდან ყოველწლიურად აფინანსებს ექსკურსიების ხარჯებს. ეს ნაბიჯი ხელს უწყობს არაოფიციალურ, არასამუშაო გარემოში მათ დამეგობრებას, შემეცნებითი პოტენციალის გაღრმავებას და მჭიდრო კავშირების განმტკიცებას. წელს პირველად მოხერხდა, როცა კულტურის ცენტრის და ადგილობრივი მცირე ბიზნესის პარტნიორობით აგვისტოში დედოფლისწყაროში ჩატარდა „ახალგაზრდული დღეები“. კაფე-რესტორან „კაპუჩინოს“ და ჩვენი ერთობლივი თანადაფინანსებით ინტერაქტიულ აქტივობებში გამარჯვებულ ახალგაზრდებს შეეძლოთ მიეღოთ ვაუჩერი, რითაც მეგობართან ერთად ესტუმრებოდნენ და უფასოდ ისარგებლებდნენ „კაპუჩინოს“ მომსახურებით. ყოველდღიურ დისკოთეკებზე ორი კვირის განმავლობაში საჩუქრად გაიცემოდა გამაგრილებელი სასმელებიც. შედეგად, მოხერხდა ახალგაზრდებისთვის ზაფხულის ცხელ დღეებში შექმნილიყო გასართობ-შემეცნებითი სივრცე ღია ცის ქვეშ.

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის ხელისუფლება ხელს უწყობს ნიჭიერი ხელოვანების განვითარებას და მხარს უჭერს მათ მუშაობაში. მათი ნაწილი სახელმწიფო დაწესებულებებშია დასაქმებული, ხოლო ისეთი დარგები, რომელთაც არ აქვთ სახელმწიფო უწყებებთან ბმა და დამოუკიდებლად მოქმედებენ, ჩვენ ვცდილობთ წელიწადში რამდენჯერმე სხვადასხვა სახის აქტივობებში ჩაებან და იგრძნონ ადგილობრივი ხელისუფლების მხარდაჭერა. ამისათვის დაფუძნდა ფესტივალი „წარმოებულია დედოფლისწყაროში“, რომელიც ყოველი წლის 26 მაისს სახალხო დღესასწაულის ფორმატში აღინიშნება და მხატვრებს, მჭედელს, მოქანდაკეებს, თექის ოსტატებს, მეღვინეებს საშუალება ეძლევათ საკუთარი პროდუქცია წარმოადგინონ. წახალისების მიზნით ხდება სხვადასხვა ნომინაციებში გამარჯვებულების გამოვლენა. შედეგად, ეს ფესტივალი იმ სეგმენტის ხელოვან ადამიანებსაც მოიცავს, რომელთაც შეხება არ აქვთ სახელმწიფო დაწესებულებებთან.

– წლევანდელი „ფიროსმანობა“ არატრადიციული, განსხვავებული ფინალით გამოირჩეოდა. რამ განაპირობა ეს?

– წელს, „ფიროსმანობის“ დღესასწაულზე პირველად მოხდა იმ ადამიანების დაჯილდოვება, რომელთაც დიდი წვლილი შეიტანეს ფიროსმანის პოპულარიზაციის საქმეში. რესტავრატორებს დამსახურებულად უწოდებენ „ფიროსმანის ექიმებს“, რადგან სწორედ მათმა პროფესიულმა მიდგომამ გენიალური მხატვრის შედევრებისადმი, გადაარჩინა მისი ნახატები. ჩვენი ყველას, კულტურის დარგის მუშაკების, კულტურის სამინისტროსა თუ ადგილობრივი ხელმძღვანელობის წარმომადგენლების სურვილი იყო, გულწრფელი და დამსახურებული მადლიერება გამოეხატათ ანზორ მაძღარაშვილის მიმართ, რომელმაც იმ მრავალწლიანი თავდაუზოგავი შრომის შედეგად გადაარჩინა ფიროსმანის ნამუშევრები და როგორც ფიროსმანის მკვლევარმა, მხატვრის პოპულარიზაციის საქმეში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა.

ინგა შიოლაშვილი

ბერიკონის „კუკარაჩა“

ქ.დედოფლისწყაროს კულტურის სახლთან არსებული ახალგაზრდული თეატრი ,,ბერიკონი“ (ხელმძღვანელი ქ-ნ ცარო მარტიაშვილი) ხშირად ანებივრებს მის ერთგულ მაყურებელს სხვადასხვა შინაარსისა თუ ჟანრის სპექტაკლებით. ამჯერად მათ, 23 დეკემბერს, დედოფლისწყაროს კულტურის სახლში მისულ მაყურებელს, ნოდარ დუმბაძის უკვდავი ნაწარმოები „კუკარაჩა“ წარუდგინეს.

სპექტაკლი „კუკარაჩა” ცნობილი მწერლის ნოდარ დუმბაძის მოთხრობის სცენური ვარიანტია. მასში ასახულია ომამდელი საბჭოთა საქართველოს დედაქალაქი - თბილისი, ერთი პატარა ეზოს ყოველდღიური ცხოვრების, როგორც კარგი, ისე უსიამოვნო დღეების ქრონიკა. სპექტაკლის მთავარი გმირი - გიორგი თუშურაშვილი, მეტსახელად კუკარაჩა, მილიციელია. იგი მიიჩნევს, რომ გასაჭირში ჩავარდნილი ახალგაზრდა ქალი ინგა, რომელსაც თავის საყვარლად გაიხდის ქურდი და მორფინისტი მურტალო, უნდა გადაარჩინოს. კუკარაჩა და ინგა ერთმანეთს შეიყვარებენ,

მაგრამ ეჭვიანობით შეპყრობილი მურტალო კლავს ვაჟს, მეორე დღეს კი ომი იწყება და ეს სევდიანი ისტორია თითქოს ავიწყდება ყველას. „კუკარაჩა” ერთ - ერთი ყველაზე საყვარელი და პოპულარული მოთხრობაა ქართულ პროზაულ ლიტერატურაში.

ეს სპექტაკლი იმითაც იყო განსაკუთრებული, რომ მასში სრულად იყვნენ ინტეგრირებულნი ეთნიკურად ბოშა ბავშვები. ისინი უკვე მეორე წელია რაც მსგავს სპექტაკლებში მონაწილეობენ და აქტიურად არიან ჩართულები არამარტო სასკოლო, ასევე საზოგადოებრივ ცხოვრებაში. სპექტაკლის განმავლობაში ხშირად ისმოდა აღფრთოვანების, სიხარულის, მოულოდნელობის გამომხატველი ფრაზები. აპლოდისმენტები არ წყდებოდა სპექტაკლის დასასრულს, როდესაც დარბაზს კმაყოფილების განცდამ არაერთხელ გადაურა.

სპექტაკლს დედოფლისწყაროს კულტურისა და ძეგლთა დაცვის ცენტრის უფროსი ილია მარტყოფლიშვილიც ესწრებოდა, რომელმაც სპექტაკლის დასასრულს სიტყვით მიმართა მაყურებელს: **„უპირველეს ყოვლისა, დიდი მადლობა ქალბატონ ცაროს და მის ბავშვებს, ასეთი ლამაზი საღამოს ჩუქებისთვის. მადლობა ასევე დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მეორე საჯარო სჯოლას, რომელმაც უკვე მეორედ განახორციელა ეს პროექტი. ბედნიერი ვარ, რომ ჩემი მშობლიური სკოლაა ის სკოლა, რომელმაც ეთნიკურ უმცირესობებს დიდი დრო დაუთმო. მინდა იცოდეთ, რომ საქართველოში სულ ორი რაიონია, სადაც ეთნიკური ბოშები დიდი რაოდენობით არიან დასახლებულები. მათ შორის არის დედოფლისწყარო და ქობულეთი. დედოფლისწყაროს მეორე სკოლას ხვდა წილად ის ტვირთი, რასაც ამ ადამიანების საზოგადოებასთან ინტეგრაცია ჰქვია,**

(გაგრძელება გვ. 7)

2019 წელი განათლების სისტემაში

2019 წელს განათლების სისტემაში უპრეცედენტოდ ბევრი რეფორმა დაანონსდა, მათგან ნაწილი დაიწყო, ნაწილი, როგორც სამინისტროში განმარტავენ, ვერ მოესწრო. როგორი იყო მიმდინარე წელი განათლების სისტემაში?

„2019 წელი ჩვეულებრივი, რუტინული წელია, დატვირთული რაღაც ინიციატივებით, რომელთაგან ნაწილი კარგია, ნაწილი კი, უბრალოდ, პიარზე გათვლილი. რეალურად რაიმე გარღვევა 2019-ში განათლების სისტემაში არ გვქონია. შესაბამისად, ვიტყვი, რომ ამ წელმა სისტემას არაფერი განსაკუთრებული არ შესძინა, გარდა ზოგიერთი ინიციატივისა, რომელიც დაიწყო, თუმცა, რამდენად ექნება მას პოზიტიური გაგრძელება და რა შედეგები მოჰყვება, მაინცდამაინც არ ჩანს. გარღვევის თვალსაზრისით სარეფორმო წინადადებები არ ყოფილა, უბრალოდ, წელს იყო უფრო მეტი ინიციატივა, ვიდრე სხვა წლებში.“ – აცხადებს შალვა ტაბატაძე, CCIIR-ის ხელმძღვანელი, განათლების ექსპერტი.

ბერიკა შუკაკიძე, მასწავლებლის პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორი:

„დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიაში პირველად მასწავლებლის პროფესიაში განხორციელდა რეფორმა, რომლის შედეგადაც მომსვლელიც კმაყოფილი იყო და წამსვლელიც — პრაქტიკოსმა პენსიონერმა პედაგოგებმა ისარგებლეს დამსახურებული ჯილდოთი და ახალბედებს კი, პროფესიაში შესვლის საშუალება მიეცათ.“

გიორგი ჭანტურია, განათლების კოალიციის დირექტორი:

„მიუხედავად რამდენიმე პოზიტიური ცვლილებისა, ჩემთვის კიდევ ერთხელ ნათლად გამოჩნდა, რომ განათლება არ არის ქვეყნის პრიორიტეტი და, სამწუხაროდ, ისევ ძალაუფლების შენარჩუნების ინსტრუმენტად გამოიყენება. არასაახალწლოა, მაგრამ სისტემას შიგნიდან რომ შევხედოთ, ვითარება ძალიან სევდიანია... მიუხედავად ამისა, მჯერა, რომ ამ მოჯადოებულ წრეს მაინც გავარღვევთ!

გასული წლის შეფასება ვთხოვეთ დედოფლისწყაროს საგანმანათლებლორესურსცენტრის ხელმძღვანელს, ქალბატონ ეთერ ზურიკაშვილს:

„2018-2019 სასწავლო წელი წარმატებული იყო ჩვენი საჯარო სკოლების მოსწავლეებისა და მასწავლებლებისათვის. ამ სასწავლო წელს გვყავდა 30 ოქროსა და ვერხლის მედალოსანი, „ჩემი პირველი კომპიუტერის“ 31 ბენეფიციარი. ქ. დედოფლისწყაროს №1 საჯარო სკოლის 5 აბიტურიენტი ჩაირიცხა უმაღლეს სასწავლებელში 100%-იანი გრანტით. საჯარო სკოლის მოსწავლეებმა მოიპოვეს ასევე 70%-იანი და 50%-იანი დაფინანსება. ეს საუკეთესო შედეგი კი სკოლებისა და მათი მოსწავლეების დამსახურებაა. მადლობა მათ, განეული შრომისათვის.

მოსწავლეებს საუკეთესო შედეგები ჰქონდათ მოსწავლეთა 73-ე შემოქმედებით კონფერენციაზე, სადაც პირველი, მეორე და მესამე ხარისხის დიპლომები დაიმსახურეს.

უნდა აღინიშნოს, რომ ქ. დედოფლისწყაროს №1 საჯარო სკოლის მოსწავლე, უკვე 100%-იანი გრანტის მფლობელი, სტუდენტი ანასატასია ყოჩიაშვილი, განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრომ 11 დეკემბერს დააჯილდოვა, როგორც ეროვნულ ოლიმპიადაში (ბიოლოგია) გამარჯვებული.

დიდი წარმატებით ჩააბარეს სასერტიფიკაციო გამოცდები ჩვენი საჯარო სკოლის პედაგოგებმა და შეიცვალეს სტატუსი. გვყავს ერთი მენტორი-ხორნაბუჯის საჯარო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი რუსუდან გონაშვილი.

16 წამყავნი სტატუსის მასწავლებელი და კიდევ ბევრი ელოდება სტატუსის შეცვლასა და ხელფასის მომატებას.

არის კიდევ ერთი სიახლე, უნდა აღინიშნოს, რომ მუნიციპალიტეტის 2 საჯარო სკოლა ჩართულია ახალი სკოლის მოდელში და წარმატებით მიმდინარეობს დანერგვა.

მინდა მადლიერება გამოვხატო ჩვენი მთავრობის, ადგილობრივი მუნიციპლიტეტის მერის (ნ. ჯანიაშვილის), საკრებულოს თავმჯდომარის (ნ. პაპიაშვილის), მაჟორიტარი დეპუტატის (ი. შიოლაშვილის) მიმართ. მათი დიდი ძალისხმევით ჩატარდა ინფრატსრუქტურული სამუშაოები ქ. დედოფლისწყაროს №1, ქ. დედოფლისწყაროს №2, არბოშიკის, ხორნაბუჯისა და ქვემო ქედის საჯარო სკოლებში. ხოლო ათასწლეულის ფონდმა ორი სკოლის სრული რეაბილიტაცია ჩაატარა (ზემო ქედის №2 და გამარჯვება).

განწყობა იმედიანი და ხალისიანია. მინდა, რომ 2020 წელი უფრო წარმატებული, ფეხბედნიერი, ხვავიანი, ბარაქიანი და საუკეთესო იყოს სრულიად საქართველოსთვის, თითოეული თქვენგანისთვის.

დედოფლისწყაროს საგანმანათლებლო რესურსცენტრის სახელით შობა-ახალი წელი მინდა მივულოცო განსაკუთრებით დიდი სითბოთი და სიყვარულით მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლების მასწავლებლებს, მოსწავლეებსა და სკოლების ადმინისტრაციას. უფალი იყოს თქვენი მფარველი.“

მოამზადა
ხათუნა ბენაშვილმა

ბავშვის განათლებაში ჩადებული ინვესტიცია

მომავალი თაობის სწორად აღზრდა ქვეყნის ერთ-ერთი პრიორიტეტია. დედოფლისწყაროს ადგილობრივმა ხელმძღვანელობამ, 2012 წელს, “ქართული ოცნების” ხელისუფლებაში მოსვლისთანავე, გააუქმა გადასახადი საბავშვო ბაღებში და ის ყველასათვის ხელმისაწვდომი გახადა. ამ ინიციატივასთან ერთად, დაიწყო გამორჩეული ზრუნვა ბაღების კეთილმოწყობასა და საკვები პროდუქტით უზრუნველყოფაზე. როგორი იყო 2019 წელი დედოფლისწყაროს საბავშვო ბაღებისთვის?- ამ კითხვით მუნიციპალიტეტის სააღმზრდელო ცენტრის ხელმძღვანელს მაია ყოჩიაშვილს ***მივმართეთ:***

-2019 წელი მნიშვნელოვანი იყო ჩვენი სფეროსთვის შემდეგი კუთხით-სკოლამდელი აღზრდისა და განათლების ქვეპროგრამის ფარგლებში შეიქმნა სკოლამდელი განათლების “აღმზრდელ-პედაგოგთა პროფესიული განვითარების ტრენინგმოდული”, რომლის მიხედვითაც ტრენინგები ჩაუტარდა საქართველოს მასშტაბით სკოლამდელი განათლების გაერთიანების ყველა მეთოდისტს, მათ შორის ჩვენი მუნიციპალიტეტის მეთოდისტებსაც. ტრენინგები განახორციელა საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს, სსიპ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნულმა ცენტრმა. ჩვენი მეთოდისტების მიერ ტრენინგები ეტაპობრივად ჩაუტარდა მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების ყველა აღმზრდელ-პედაგოგს და დღეისათვის დარგში დასაქმებული კადრი ახალი სტანდარტის შესაბამისადაა გადამზადებული, რამაც თავის მხრივ ხელი შეუწყო თითოეული პედაგოგის კვალიფიკაციის ამაღლებას და ბავშვებისათვის ხარისხიანი სკოლამდელი განათლების მიწოდებას. ასევე”სასკოლო მზაობის საგანმანათლებლო სახელმწიფო სტანდარტის“დანერგვის ხელშეწყობის მიზნით გაეროს ბავშვთა ფონდის ხელშეწყობით შეიქმნა სასკოლო მზაობის პროგრამის აღმზრდელის გზამკვლევი, რომელიც მიზნად ისახავს სკოლამდელი ასაკის ბავშვის სკოლისთვის უკეთესად მომზადებას.გასული წლებისგან განსხვავებით 2019 წელს დიდი ყურადღება დავუთმეთ თანამშრომელთა კვალიფიკაციის ამაღლებას ინკლუზიური განათლების კუთხითაც, რომლის ფარგლებშიც განხორციელდა აღმზრდელ-პედაგოგთა გადამზადება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე აღსაზრდელთა საჭიროებებსა და სათანადო მიდგომის მეთოდებზე. მშობლების ინფორმირებულობისა და გაძლიერების მიზნით ჩატარდა ინდივიდუალური და ჯგუფური შეხვედრები. ინკლუზიურ განათლებაში ჩართული ბავშვებისთვის შედგენილი ინდივიდუალური განვითარების გეგმით გათვალისწინებული შედეგები წარმატებით იქნა მიღწეული.

2019 წელს დაიწყო ბაღებში სწავლება გარემოსდაცვითი ცნობიერების საფუძვლების ჩამოყალიბებისათვის. ეს სწავლება მიზნად ისახავდა ბიომრავალფეროვნების მნიშვნელობის შემეცნებას, ადამიანისათვის მცენარეებისა და ცხოველების სარგებელის გაცნობას, გარემოს მიმართ მზრუნველობის ჩამოყალიბებას, ბუნებრივი რესურსების გაფრთხილებას, ენერგიისა და წყლის დაზოგვის მნიშვნელობას. ბავშვი სწავლების პროცესში გამოიმუშავებს ამ მიმართულებით სათანადო ქცევის წესებს, არ აბინძურებს გარემოს, ესმის ამ მხრივ გარემოზე ზრუნვის დადებითი შედეგი და აუცილებლობა. შემიძლია ვთქვა, რომ ეს წელი გამორჩეული იყო თავისი მასშტაბურობით საგანმანათლებლო კუთხით, როგორც საგანმანათლებლო პერსონალისთვის, ისე ჯანმრთელობის დაცვის სპეციალისტებისთვის. ჩატარდა სათანადო სწავლება-ტრენინგები სან-ჰიგიენური პირობების, ბავშვთა კვების, უსაფრთხო ფიზიკური გარემოს უზრუნველყოფის მიზნით, გატარდა სათანადო ღონისძიებები, 2019 წლის დაფინანსება გაიზარდა 15%-ით გასულ წელთან შედარებით, სადაც მუნიციპალიტეტის მერის - ბატონ ნიკოლოზ ჯანიაშვილის წვლილი საკრებულოს თავმჯდომარე - ნუგზარ პაპიაშვილის თანადგომასთან ერთად მნიშვნელოვანია, რისთვისაც მათ ჩვენი სამსახურის სახელით, თქვენი გაზეთის მეშვეობით, მადლობა მინდა გადავუხადო. ყოველივე ეს სახელმწიფოს მხრიდან - ბავშვის განათლებისთვის გაწეული ინვესტიციაა, რომლის შედეგადაც ჩვენ ახლო მომავალში მაღალკვალიფიციური და განათლებული თაობა გვეყოლება.

-როგორც მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობა ამბობს, სკოლამდელ დაწესებულებებზე ზრუნვა მათი მთავარი პრიორიტეტია, თუმცა, ამის მიუხედავად მაინც რჩება პრობლემები, მათ შორის ბაღებში მომუშავე პერსონალის დაბალი ხელფასები...

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მთავარი პრიორიტეტი რომ ბაგა-ბაღებზე ზრუნვაა, ეს კარგად ჩანს ბოლო წლების განმავლობაში განხორციელებული საქმიანობებიდან, ეს შედეგები ასახულია ჩვენი სამსახურის ყოველწლიურ ანგარიშებში და რეალურ მდგომარეობაშიც. რაც შეეხება დღეისათვის არსებულ პრობლემებს - მათი მოგვარება ეტაპობრივად ხდებოდა მთელი წლის მანძილზე.დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის ბაგა-ბაღებში მომუშავე პერსონალის ანაზღაურება კახეთის რეგიონში სხვა მუნიციპალიტეტებთან შედარებით საშუალოზე მაღალია,ხოლო რაც შეეხება ხელფასის მატებას - დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტს განსაზღვრული აქვს ამის განხორციელება მომავალ წელს. როგორც ყველასთვის ცნობილია, საქართველოს განათლების, მეცნიერების,კულტურისა და სპორტის სამინისტროს მიერ დაანონსდა საბავშვო ბაღის პედაგოგთა ხელფასების მატება 2020 წლის სექტემბრიდან, ჩვენს მუნიციპალიტეტში კი 2020 წლის სექტემბრიდან შრომის ანაზღაურების ზრდა შეეხება არა მარტო პედაგოგებს, არამედ ბაგა-ბაღებში მომუშავე მთელ პერსონალს.

-რას უსურვებდით დედოფლისწყაროელებს 2020 წლისათვის?

-დედოფლისწყაროელებს ვუსურვებ მშვიდობიან წელს, ჯანმრთელობას, გამრავლებას! ჩემს კოლეგებს- წარმატებას, წინსვლას, აღსაზრდელთა სიმრავლეს! ყველას- ღვთის წინაშე მადლიერებას!

სოფლის მეურნეობა, როგორც წამყვანი დარგი

სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარებას ჩვენს მუნიციპალიტეტში და ზოგადად, მთელს ქვეყანაში განსაკუთრებული ადგილი უკავია. ამიტომაც, მნიშვნელოვანია ა(ა)იპ ,,სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარების სააგენტოს მიერ 2013-2019 წლებში დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროექტების/პროგრამების მოლკე ანგარიშის წარდგენა მოსახლეობისთვის.

შეღავათიანი აგროკრედიტის პროექტი – პროექტის მიზანია, აგრომეწარმეებისთვის ფინანსებზე ხელმისაწვდომობის გზით, სოფლის მეურნეობის პირველადი წარმოების გადამამუშავებელი წარმოების, აგროპროდუქციის შენახვისა და რეალიზაციის ხელშეწყობა. პროექტის ფარგლებში, სოფლის მეურნეობის პირველადი წარმოების, გადამამუშავებელი და შენახვა-რეალიზაციის მიმართულებით დასაქმებული ფერმერები და საწარმოები საფინანსო ინსტიტუტებისგან იღებენ აგროკრედიტს და აგროლიზინგს ძირითადი და საბრუნავი საშუალებებისთვის. უნდა აღინიშნოს, რომ აგროსექტორით საბანკო/სალიზინგო სექტორის დაინტერესება პროექტის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მიღწევაა, რაც სოფლის მეურნეობის განვითარებას უწყობს ხელს. აღნიშნული პროექტის განხორციელებით, მეწარმეებისა და ფერმერებისთვის ხელმისაწვდომი გახდა იაფი ფინანსური რესურსი. **შეღავათიანი აგროკრედიტის პროექტის ფარგლებში 30.11.2019 წლის თარიღის მდგომარეობით გაიცა 75,946,234 ლარის ღირებულების 1,820 სესხი, სააგენტოს თანადაფინანსებამ შეადგინა 9,877,187 ლარი.**

სახელმწიფო პროგრამა –„**დანერგე მომავალი**“ – პროგრამის ფარგლებში, ფერმერებს საშუალება აქვთ სახელმწიფო თანადაფინანსების დახმარებით, გააშენონ მრავალწლიანი ხეხილის ბაღები, კენკროვანი კულტურები და შექმნან სანერგე მეურნეობები. პროგრამის განხორციელება 2015 წლის მარტში დაიწყო და მისი მთავარი მიზანია, მრავალწლიანი კულტურების გაშენების გზით, საქართველოში არსებული სასოფლო-სამეურნეო მიწების ეფექტიანი გამოყენება, რის შედეგადაც, მოხდება იმპორტირებული პროდუქციის ქართული პროდუქციით ჩანაცვლება, გაიზრდება ექსპორტი, გაადვილდება გადამამუშავებელი საწარმოების ნედლეულით უზრუნველყოფა და გაუმჯობესდება სოფლად მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა. ამასთანავე, კენკროვანი კულტურების თანადაფინანსების ქვეკომპონენტის მიზანია დაბალი აქტივობის ცალკეულ სოფლებსა და მუნიციპალიტეტებში, სადაც მაღალია სასოფლო-სამეურნეო სავარგულების ფრაგმენტაცია და ვერ ხდება მიწის ნაკვეთების გაერთიანება, საკარმიდამო კატეგორიის სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მქონე მიწის ნაკვეთებზე კენკროვანი კულტურების ეფექტური წარმოება. **30.11.2019 თარიღის მდგომარეობით დანერგე მომავლის პროგრამის ფარგლებში დამტკიცებულია ბაღების 30 განაცხადი. ბაღების კომპონენტში გაშენებული/დაკონტრაქტებული ფართობი შეადგენს 444 ჰა-ს. სააგენტოს თანადაფინანსების ოდენობამ შეადგინა 2,248,104 ლარი.**

აგროდაზღვევის პროგრამა–აგროდაზღვევის პროგრამის მიზანი აგროსექტორში სადაზღვევო ბაზრის განვითარება, სასოფლო-სამეურნეო საქმიანობის ხელშეწყობა, სასოფლო-სამეურნეო საქმიანობით დაკავებული პირებისთვის შემოსავლის შენარჩუნება და რისკების შემცირებაა. პროგრამა ხორციელდება 2014 წლიდან. აგროდაზღვევის პროექტის ფარგლებში, ფერმერებს შესაძლებლობა აქვთ დააზღვიონ მოსავალი სეტყვის, წყალდიდობის, ქარიშხლისა და საშემოდგომო ყინვისგან. 2014-2019 წლებში **30.11.2019 თარიღის მდგომარეობით აგროდაზღვევის პროგრამის ფარგლებში გაცემულია 302 პოლისი. დაზღვეულ იქნა 2,632,211 ლარის ღირებულების სხვადასხვა კულტურა. სულ დაზღვეულია 1,070 ჰა მიწის ფართობი. ჯამში სააგენტოს სუბსიდიის თანხამ შეადგინა 156,773 ლარი. 2014-2019 წლებში 31.10.2019-ის მდგომარეობით ანაზღაურებულმა ზარალმა შეადგინა - 124,599 ლარი.**

გადამამუშავებელი და შემნახველი საწარმოების თანადაფინანსების პროექტი - პროექტის მიზანია საქართველოში სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ახალი გადამმუშავებელ და შემნახველი საწარმოების თანადაფინანსება. აღნიშნული პროექტის ფარგლებში მაღალმთიანი დასახლებების შემთხვევაში თანადაფინანსების ოდენობა გაზრდილია 10%-ით. **30.11.2019 თარიღის მდგომარეობით სულ პროექტის ფარგლებში დამტკიცებულია 1 პროექტი - ჯამური საინვესტიციო ღირებულებით 934,105 ლარი, საიდანაც სახელმწიფო თანადაფინანსებამ შეადგინა 373,642 ლარი. აქედან, გადამამუშავებელი საწარმოების კომპონენტის ფარგლებში დამტკიცდა 1 პროექტი, ჯამური საინვესტიციო ღირებულებით 934,105 ლარი, ხოლო სახელმწიფო თანადაფინანსებამ შეადგინა 373,642 ლარი.**

„**სოფლის მეურნეობის მოდერნიზაციის, ბაზარზე წვდომისა და მოქნილობის (AMMAR)**“ **თანადაფინანსების პროგრამა** – პროგრამა მიზნად ისახავს პირველადი წარმოების პროდუქტის ხარისხისა და მოსავლიანობის ზრდის ხელშეწყობას; მოქმედი გადამამუშავებელი და შემნახველი აგროსაწარმოების გაფართოებისა და მოდერნიზაციის ხელშეწყობას; საერთაშორისო სტანდარტების და თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვას. პროგრამა მოიცავს კომპონენტებს, როგორც ინდივიდუალური ფერმერების, ასევე გადამამუშავებელი საწარმოების და სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების თანადაფინანსებისთვის. **30.11.2019 მდგომარეობით პირველადი წარმოების კომპონენტის ფარგლებში გაფორმდა 1 ხელშეკრულება, ჯამური ინვესტიციით 59,928 ლარი, ხოლო სააგენტოს თანადაფინანსება შეადგენს 23,971 ლარს**.

სოფლად ახალგაზრდა მეწარმეების მხარდაჭერის პროგრამა – "ახალგაზრდა მეწარმე" - პროგრამა ითვალისწინებს ახალი ბიზნესის დასაწყებად პოტენციური ბენეფიციარებისთვის ფინანსური და ტექნიკური დახმარების გაწევას, რომელსაც გააჩნია სამი ეტაპი:

- თანადაფინანსების მიღებამდე ტექნიკური დახმარება (განმახორციელებელი სუბიექტი: სამინისტრო);
- თანადაფინანსება - ფინანსური დახმარება (განმახორციელებლი სუბიექტი: სააგენტო);
- თანადაფინანსების შემდგომი ტექნიკური დახმარება (განმახორციელებელი სუბიექტი: სამინისტრო).

თანადაფინანსება განხორციელდება საქართველოს ყველა მუნიციპალიტეტსა და თვითმმართველ ქალაქში, შემდეგი თვითმმართველი ქალაქების გარდა: ქ. თბილისი, ქ. რუსთავი, ქ. ქუთაისი, ქ. ფოთი, ქ. ბათუმი. **30.11.2019წ. თარიღის მდგომარეობით გაფორმდა 2 ხელშეკრულება, ჯამური თანხით - 210,570 ლარი, საიდანაც თანადაფინანსების მოცულობაა - 84,228 ლარი**.

სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის თანადაფინანსების პროგრამა- სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის თანადაფინანსების პროგრამის მიზანია სასოფლო-სამეურნეო ტექნიკაზე (ნებისმიერი ტიპის მოსავლის ამღები ტექნიკა, როგორც თვითმავალი, ასევე მისაბმელი; სასოფლო-სამურნეო ტრაქტორები; ტრაქტორის სასოფლო-სამეურნეო მისაბმელები (იმპლემენტი) და მოტობლოკი) ხელმისაწვდომობის გაზრდა. **30.11.2019 მდგომარეობით გაფორმდა 9 ხელშეკრულება, ჯამური თანხით - 2,162,918 ლარი, საიდანაც თანადაფინანსების მოცულობაა - 1,013,043 ლარი**.

ახალი და გაფართოებული საწარმოები - გაიხსნა 11 ახალი საწარმო და გაფართოვდა 40 საწარმო. 11 ახალი საწარმო (10 - შეღავათიანი აგროკრედიტის, 1 - შემნახველი და გადამამუშავებელი საწარმოთა თანადაფინანსების პროგრამის ფარგლებში).

როგორ ავიცილოთ შირაქის მიწის დეგრადაცია?

სოლო (სოლომონ) პოპიაშვილი 33 წლისაა. ის დედოფლისწყაროელია, მაგრამ ბევრი ახალგაზრდის მსგავსად არც თბილისისკენ უჭირავს თვალი და არც უცხოეთში აპირებს წასვლას. სოლომონი ფერმერია. ხანდახან თავისუფალ დროს თავისი ჯიპით ვაშლოვანის დაცული ტერიტორიებისკენ მიმავალ ტურისტებსაც ემსახურება. ვაშლოვანის გზა შირაქის ვაკეზე გადის. გზის ორივე მხარეს მინდვრებია, სადაც უმეტესად მარცვლეული მოჰყავთ. სოლომონი ტურისტებს უყვება აქაურ ბიომრავალფეროვნებაზე, ფრინველებზე, ყოველ ნაბიჯზე რომ გხვდებიან გზაზე. ყვება მეცხვარეობასა და საზამთრო საძოვრებზე, მიწათმოქმედებაზე, დედოფლისწყაროს მეურნეობის წამყვან დარგებზე. სოლომონი საკუთარ გამოცდილებასაც გვიზიარებს:

„აი, აქ ჩემი ნაკვეთებია, შარშან 2 ჰექტარიც ვიყიდე და ახლა 37 ჰექტრამდე მაქვს. წელს იმ 2 ჰექტარზე ბარდა დავთესე. რატომ ბარდა? ჯერ ერთი, ზუსტად არ ვიცი, რა ეთესა ძველ მეპატრონეს, ალბათ მაინც ხორბალი. აქ ხომ ძირითად ქერსა და ხორბალს თესავენ, მეც, სხვების მსგავსად, ძირითადად ეს კულტურები მაქვს. ნიადაგს კი ნაყოფიერების შესანარჩუნებლად თესლბრუნვა და განსხვავებული კულტურა სჭირდება. შარშან ბევრ ფერმერს ჰქონდათ ბარდა დათესილი და მერე იმ ნაკვეთებზე ხორბლის გაცილებით უკეთესი მოსავალი მოიყვანეს. მეც, ჩემი გამოცდილებით ვიცი, რომ ლობიო, ბარდა და სხვა პარკოსნები აზოტითა და ბაქტერიებით ამდიდრებენ ნიადაგს, რაც ნაყოფიერების წინაპირობაა. ბაქტერიებით ღარიბ ნიადაგში ფერმერებს დამატებით უწევთ მისი შეტანა“, - გვიამბობს შირაქის ვაკის გავლისას სოლომონი.

საქართველოს ბელელი

შირაქის ვაკე, ტრადიციულად, საქართველოს ბელლად ითვლება და მარცვლეულის წარმოების მთავარი ადგილია. შირაქის ვაკე კახეთში, კერძოდ, ისტორიულ ქიზიყში, დედოფლისწყაროს რაიონში მდებარეობს, ზღვის დონიდან 500 მეტრ სიმაღლეზე. აქ საშუალო წლიური ტემპერატურა 10-11 გრადუსია ცელსიუსით და წელიწადში 500-700 მმ. ნალექი მოდის. საქართველოს სოფლის მეურნეობის სტატისტიკის მიხედვით, 30 ათასი ჰექტარი სახნავი მიწიდან დაახლოებით 13,7 ჰექტარზე ხორბალი მოჰყავთ. 2018 წლის მონაცემებით, საქართველოში 106 ათასი ტონა ხორბლი მოვიდა, აქედან 74%-ს შირაქის ველზე.

შირაქის მიწები საბჭოთა პერიოდში საბჭოთა მეურნეობებს ეკუთვნოდა და ერთიანად მუშავდებოდა. მიწის პრივატიზაცია რომ დაიწყო, მიწები ფერმერებს გადაეცათ და დღეს კერძო საკუთრებაშია.

90-იანი წლებიდან მოყოლებული შირაქის მინდვრებზე ძირითადად ხორბალი და ქერი ითესება. **სპეციალისტების აზრით, მონომოსავლიანობა და ნულოვანი როტაცია, ანუ თელბრუნვის არარსებობა ნიადაგის დეგრადაციასა და პროდუქციულობის ვარდნას განაპირობებს. ამის დასტურია ის ფაქტიც, რომ თუ ადრე ჰექტარზე მარცვლოვანების მოსავლიანობა 5-6 ტონა იყო, ახლა ჰექტრიდან 1.5-2.5 ტონა მარცვლეული მოდის.**

კავკასიის რეგიონული გარემოსდაცვითი ცენტრისა და გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნების სამინისტროს ერთობლივი პროექტისთვის, რომელიც მიწის დეგრადაციასთან ბრძოლას ითვალისწინებს მიზნად, დედოფლისწყარო საგანგებოდ შეირჩა, რადგან აქ გაუდაბნოებისა და მიწის დეგრადაციის პროცესი ძალიან მწვავედ დგას. სულ ურო მეტ ფართობზე ვრცელდება მიწის დეგრადაცია, ანუ უნაყოფობა.

არასპეციალისტისა და არამიწათმოქმედისთვისაც კარგად შესამჩნევია, რომ ბევრგან მიწას ნარ-ეკალი მოსდებია, ან თუნდაც ცხვრისგან გადაძოვილი ან გაქელილია. ეს კი ნიადაგის დეგრადირების მაჩვენებლებია ასევე.

პროექტის ფარგლებში დედოფლისწყაროელ 21 ფერმერს მიწის მდგრადი მართვის შესახებ სწავლება ჩაუტარდა. ამასთან თესლბრუნვის დაგეგმვის მიზნით, მათ ბარდისა და წიწიბურის თესლი გადაეცათ და კონსულტაციებიც ჩაუტარდათ. სპეციალისტების თქმით, შედეგად შემცირდა სოკოვანი დაავადებები,გაიზარდა ხორბლის მოსავალი.

მსხვილი მეურნეობები და სასოფლო-სამეურნეო ექსპერიმენტები

ნიკოლოზ ბენიაიძე მსხვილი ფერმერია, დედოფლისწყაროში, არხილოსკალოში აქვს დიდი ფერმა, ხოლო დილიჩასა და შირაქში ასეულობით ჰექტარი მიწა, სადაც, სხვების მსგავსად, ძირითადად ხორბალი, ასევე სიმინდი და ქერი მოყავს. ნოკოლოზი მსხვილი დამსაქმე

(გაგრძელება გვ.7)

როგორ ავიცილოთ შირაქის მიწის დეგრადაცია?

(*მეექვსე გვერდიდან*)

ბელია და მის ნაკვეთებში ბევრი ადამიანი მუშაობს.**„პროფესიითაც აგრონომი ვარ და მიწის დიდი ფართობები ექსპერიმენტების ჩატარების საშუალებას მაძლევს. შარშან საკმაოდ დიდ ფართობზე, 5 ჰექტარზე მქონდა დათესილი ბარდა, წელს იმ ნაკვეთების ნაწილზე ხორბალი დავთესე, ნაწილზე - ქერი. რომ ავიღოთ ორი ნაკვეთი, სადაც ქერი მითესია, ერთი ნაბარდალზე, ხოლო მეორე ნახორბლარზე და შევადაროთ, მიუხედავად იმისა, რომ ორივეგან ერთი და იგივე ჯიშის მარცვლეულია, ორივეს ერთნაირად ვუვლით, ნაკვეთები ძალიან განსხვავდება ერთმანეთისგან. უკვე ვიცი, რომ ნაბარდალზე გაცილებით უკეთესი მოსავალი მექნება“,**-ამბობს ნიკოლოზი.

შარშან ნიკოლოზიც ჩაერთო პროექტში, რადგან, მისი განმარტებით, ბარდა ძალიან კარგი წინამორბედია სხვა კულტურებისთვის, ამიტომ წელს 38 ჰექტარზე მარტო ბარდა დათესა.**„ვიცი თესლბრუნვის მნიშვნელობა და მუდმივად ვატრიალებ ჩემს ნაკვეთებზე სხვადასხვა კულტურას: ხორბალს, ქერს, სიმინდს, ჭვავს. მაქვს ბიონაკვეთებიც, რომელსაც საერთოდ არ ვაკარებ სასუქს. ბევრი წვრილი ფერმერი დგას მოსავლის გასაღების პრობლემის წინაშე, ჩვენ არც პროდუქციის გასაღების პრობლემა გვიდგას. ნარჩენებსაც მესაქონლეობაში ვიყენებთ“,** - ამბობს ბენიაიძე.

სპეციალისტების განმარტებით, იმისათვის, რომ შევინარჩუნოთ ნიადაგების ბუნებრივი ნაყოფიერება და გავზარდოთ მისი მდგრადობა, **აუცილებელია ფერმერებმა პრაქტიკაში დანერგონ მრავალწლიანი თესლბრუნვა და კულტურათა მონაცვლეობის როტაციული სისტემა. ეს მეთოდი, რომელიც წინაპირობაა იმის, რომ ნიადაგები მინერალებით გამდიდრდეს და გაიზარდოს მათი ნათოფიერება, ფერმერებს ასევე დაეხმარება ნიადაგების ნაყოფიერების მდგრად მართვაში.**

პარკოსან კულტურებს შეუძლიათ ფესვზე არსებული კოჟრის ბაქტერიების წყალობით ჰაერში არსებული თავისუფალი აზოტი გარდაქმნას მცენარისათვის შესათვისებელ ფორმად და დააგროვოს ნიადაგში. ასევე პარკოსანი კულტურების მძლავრ ფუნჯთა ფესვთა სისტემას შეუძლია გააფხვიეროს ნიადაგების სტრუქტურა, გაამდიდროს ნიადაგის ფორები ჰაერითა და წყლით, შეამციროს მცენარეთა დამახასიათებელი მავნებელ-დაავადებათა რიცხოვნობა და შესაბამისად ხელი შეუწყოს მოსავლიანობის სტაბილურ და მდგრად მატებას.

თესლბრუნვა და კლიმატის ცვლილება

„სამწუხაროდ, ჩვენთან ასეთი მიდგომა დამკვიდრდა: მოსავლის აღების შემდეგ ფერმერები ნარჩენებს წვავენ, რაც იწვევს მოკროელემენტებისგან, ბაქტერიებისგან ნიადაგის გაღარიბებას. ამას ემატება ის ფაქტიც, რომ შემოდგომით მიწის მოხვნისას უმეტესობა ნიადაგს აბრუნებს, რაც ასევე იწვევს მიწის გამოშრობას, მიკროორგანიზმებისგან მის გაღარიბებას და, შესაბამისად, ნიადაგის დეგრადაციას“, - ამბობს სოლომონ პოპიაშვილი.

ზაფხულში, მართლად, ძალიან რთული სანახავია ცეცხლმოკიდებული შირაქის მინდვრები. არა მხოლოდ დედოფლისწყაროს, არამედ მეზობელი რაიონების სახანძრო სამსახურის ბრიგადები მუდმივ მზადყოფნაში არიან ხოლმე მინდვრებში გაჩენილი ხანძრების ჩასაქრობად.

„ნიადაგის ნაყოფიერების გარდა თესლბრუნვას სხვა გარემოსდაცვითი ფუნქციაც აქვს: იგი დადებით გავლენას ახდენს კლიმატის ცვლილებაზე. ერთი კულტურის თესვის პირობებში, ხორბალი იქნება, ქერი თუ მზესუმზირა, მოსავლის აღების მერე მიწა ზაფხულის ცხელ დღეებში მცენარეულ საფარს მოკლებულია, რაც დიდ ფართობებზე მიწისა და შესაბამისად, ჰაერის გამოშრობას იწვევს, ამიტომ თესლბრუნვას, ნაკვეთმონაცვლეობას, მწვანე ნათესების არსებობას დიდი მნიშვნელობა აქვს“,-ამბობს ასევე დედოფლისწყაროელი ფერმერი და გარემოსდამცველი ამირან კოდიაშვილი.

ფერმერთა აზრით, კავკასიის რეგიონული გარემოსდავითი ცენტრისა და გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ერთობლივი პროექტი წარმატებული იყო:

„ფერმერების წინაშე მუდმივად დგას ალტერნატიული კულტურების თესლის საკითხი და პროექტის ფარგლებში მათ გადაეცათ ბარდისა და წიწიბურას თესლი. ამავე დროს მათ საშუალება ჰქონდათ, პროექტის ფარგლებში მიეღოთ სპეციალისტის კონსულტაცია. ბარდისა და პარკოსნები ძალიან კარგი საშუალებაა ნიადაგის გაჯანსაღების პროცესში, რადგან ბარდა 1 ჰექტარზე დაახლოებით 700 კმ. ბუნებრივი აზოტით ამდიდრებს ნიადაგს, რაც სასუქების საჭიროებას ამცირებს. რაც შეეხება წიწიბურას, ის მატიტელასებრთა ოჯახის წარმომადგენელია და ანსიტეპტიკური თვისებები აქვს. შეუძლია ბევრი დაავადებებისგან დაიცვას კულტურები“, - ამბობს დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე, პროფესიით აგრონომი მალხაზ მერაბიშვილი.

შეიძლება თუ არა ვისაუბროთ პროექტის მდგრადობაზე?

„პროექტის ფარგლებში თუ შარშან 100 ჰექტრამდე ნაკვეთზე დაითესა ბარდა. წელს ფერმერები თავადაც დაინტერესდნენ და სადღაც 280-300 ჰექტარზე დათესეს. ვფიქრობ, ეს საშუალებას მისცემს ფერმერებს წლის განმავლობაში 5-6 ტონა მარცვლეული მოიყვანონ ჰექტრიდან.

წარმატებულად შეიძლება ჩაითვალოს წიწიბურას გავრცელებაც, თუმცა მას ერთ წელიწადში არ აქვს ასეთი თვალსაჩინო შედეგები. თან ნაკლებად გვაქვს ტექნიკა, რომელიც მას გადაამუშავებს“, - ამბობს მერაბიშვილი.

P.S. ინდოეთის დედაქალაქ ნიუ-დელიში გაუდაბნოებასთან ბრძოლის კონვენციის მხარეთა მე-14 კონფერენციაზე საქართველოში, კერძოდ კი, დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროექტი „სასოფლო ტერიტორიებზე მიწის მდგრადი მართვის დანერგვა მიიწის დეგრადაციის შემცირების მიზნით“ მიწის მართვის მდგრადი პრაქტიკის დანერგვის 6 საუკეთესო საპილოტე პროექტს შორის დასახელდა.

თინათინ მოსიაშვილი

ბერიკონის „კუკარაჩა“

(დასაწყისი გვ.4)

რადგან მანამდე, როგორც სკოლის დირექტორმა თქვა, ამ ბავშვებს ენობრივი ბარიერიც ჰქონდათ. სირცხვილია, რომ ჩვენს სახელმწიფოში ცხოვრობდნენ ადამიანები და არ მეტყველებდნენ ქართულად. მე მახსოვს ჩემი ჟურნალისტური პრაქტიკიდან, რომ პირადობის მოწმობებიც კი არ ჰქონდათ ბოშებს. შესაბამისად, ისინი სახელმწიფო სიკეთეებით ვერ სარგებლობდნენ, ვერ იღებდნენ დახმარებებს და ა.შ. დღეს უკვე შეგვიძლია მიღწეულ შედეგებზე ვისაუბროთ. ენობრივი ბარიერი დაძლეულია, ბავშვები კარგად მეტყველებენ. აღმოჩნდა, რომ სამსახიობო ნიჭიც აქვთ. სახელმწიფოს მიდგომაა, რომ ეთნიკურ უმცირესობებს დიდი ყურადღება დაეთმოს. წელს თუკი რამ შეკითხვა მოსულა სამთავრობო უწყებებიდან, ყველა კითხვა ეხებოდა იმას, თუ რას აკეთებს მუნიციპალიტეტი ეთნიკური უმცირესობებისთვის. ჩვენც ყოველ წელს სიამაყით ვამბობთ, რომ ინტეგრაცია ნამდვილად მოხდა. ახალგაზრდული თეატრი „ბერიკონი“ ახერხებს იმას, რომ სხვა მიმართულებითაც გაუღრმავოს ამ ბავშვებს შესაძლებლობები, საშუალებას აძლევს ახალგაზრდებს დაკავდნენ თეატრით და, ქართველ თანატოლებთან ერთად, სახელმწიფო ენაზე სცადონ ინტეგრაცია. კარგია, რომ განათლების სამინისტრო ამგვარი პროექტების დაფინანსებით ხელს უწყობს მათ. ჩვენც სკოლას სამომავლოდ აუცილებლად გამოვუცხადებთ თანადგომას. ქალბატონი ცაროც დარწმუნებული ვარ მოახერხებს იმას, რომ სხვა ახალგაზრდებიც შემოუერთდნენ ჩვენს თეატრს და სამომავლოდაც არაერთი პრემიერა შესთავაზონ მაყურებელს. დიდი მადლობა ყველა მონაწილეს და მეორე სკოლას.“

თეატრის ხელმძღვანელმა ქალბატონმა ცარო მარტიაშვილმაც მიმართა დამსწრე საზოგადოებას: **„სცენარის დასასრულს გავიმეორებ და მეც, დაგპირდებით, რომ ეს ბავშვები პატიოსნები და ძალიან კარგები გაიზრდებიან. დიდი მადლობა მშობლებს, იმისთვის, რომ ასეთი გადასარევი შვილები გყავთ. დიდი მადლობა მეორე სკოლას. ყველას. კულტურის ცენტრის ყველა თანამშრომელს გვერდში დგომისთვის. ტექნიკურმა პერსონალმა უმოკლეს, რეკორდულ დროში მოახერხა სპექტაკლზე მუშაობის დასრულება. ქედს ვიხრი მათი პროფესიონალიზმის წინაშე. მომავალ შეხვედრამდე გემშვიდობებით.“**

P.S პროექტი დაფინანსდა განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მიერ სოციალური ინკლუზიის ფარგლებში და განხორციელდა ქ.დედოფლისწყაროს №2 საჯარო სკოლისა და დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის კულტურისა და ძეგლთა დაცვის ცენტრის მიერ.

ჟუჟუნა ყანჩაშვილი

ხსოვნა

თევდორე წიკლაური



როგორი აუტანელი გახდა ჩემთვის ეს რიცხვი-30 დეკემბერი. ვერაფრით ვეგუები, რომ ჩემთან აღარ ხარ. ერთი წელი სრულდება, რაც წახვედი და დაგვტოვე ასე სევდიანები და დამწუხრებულები. ეს დრო საშინლად გაიწელა. დედის გული ვერ ეგუება შენს გარდაცვალებას. ჩემს გულში მარადიულად ცოცხალი იქნები, ჩემო საყვარელო, პატარა ბიჭო.

როგორ მომენატრა შენი მოფერება. ბოლოს, ერთი წლის წინ, 29 დეკემბერს მოგეფერე ცოცხალს, საბოლოოდ კი 1 იანვარს – უკვე გაყინულს. დედის მოსიყვარულე გულმა და ხელებმაც კი ვეღარ შეძლო შენი გათბობა.

ყველას ძალიან ენატრები. მამას და ნათიას განსაკუთრებით. ჩუმად ვტირით, თითქოს ერთმანეთს ვუმალავთ ცრემლებს და სევდას... ჩემო დიდო ტკივილო, ფოტოებისა და ვიდეოს გარდა არაფერი დაგვრჩა შენს სამახსოვროდ. მონატრებას და მწუხარებას შენი სურათების თვალიერებით ვიკლავ, ვიდეოს ვუყურებ და თავს ასე ვინუგეშებ...

ჩემო თევდორე, შენ მარადიულად ბავშვობაში დარჩი, ისეთივე უცოდველი წახვედი ამქვეყნიდან, როგორიც მოევლინე. თევდორე, ილოცე შენი დაიკოსთვის – ნათიასთვის და მშობლებისთვის, რათა ვილოცოთ შენი სულისთვის. ღმერთმა დაგიმკვიდროს სასუფეველი.

მონატრებით, შენი დედიკო, მამიკო და დაიკო

მონატრება

საყვარელო ადამიანებო

კარს მოგვადგა ახალი – 2020 წელი, თუმცა, ყველასთვის არ არის სასიხარულო. ჩვენთვის, შვილმკვდარი დედებისთვის, უფრო მტკივნეული და გაუსაძლისია, რადგან ჩვენი უსაყვარლესი შვილები ვერ ხვდებიან ახალი წლის მოსვლას. მშურს ჩემთვის სიცოცხლე, ღმერთმა მომარგუნა მწარე სიბერე. მინდა, ჩემს საყვარელ შვილებს – ნუგზარის და ნანულის, მეუღლეს ბეღურა მაჩაბლიშვილებს აქედან მივულოცო ახალი წელი. დაე, ნათელში იყვნენ და იქიდან ილოცონ თავიანთი შვილებისა და შვილიშვილებისთვის. ასევე, მინდა, გავიხსენო გელოდი ნატროშვილი, რომლის სიკვდილმა თავზარი დაგვცა მის ახლობლებს, მისი სიკვდილი დღესაც ამოუცნობ ამოცანად დარჩა. ასევე ვიხსენებ ჩემი ნანულის თანაკლასელებს: ეთერ ალადაშვილს, მერაბ ჩართოლანს, ნოდარ კოკილაშვილს და მათ საყვარელ კლასის ხელმძღვანელს ლენა ჭუაძეს. მათი კლასი გამოირჩეოდა კარგი სწავლით, სიყვარულით და იყო მეგობრული., რითაც ყველა ვამაყობდით. ვიხსენებ ჩემი ნუგზარის თანაკლასელებს – ირაკლი გოგილაშვილს, ნოდარ უზუნაშვილს და არმაზ დანელიანს.

ყველას ნათელი დაუმკვიდროს უფალმა.

ციცინო გონაშვილი-მაჩაბლიშვილი.

მონატრება

თევდორე წიკლაური

გავიდა ტკივილით და მონატრებით დამძიმებული 1 წელი, გენაცვალოს ბებო. დიდი ტკივილი და მონატრება დაგვიტოვე ყველას. უჭირს უშენოდ დედიკოს და მამიკოს, შვილო თევდორე. სიმწრის ცრემლებს ძლივს ყლაპავს შენი მოგონებებისას შენი დაიკო ნათია. ხშირად მოდის შენს საფლავზე და თავისი პაწია ხელებით გინთებს წმინდა სანთელს. მათეს ყოველ დღე შენზე ვესაუბრებით, რომ მეხსიერებაში ჰყავდე. ის ხომ ჯერ პატარაა. ყოველდღე ჩემს ოჯახში შენი შესანდობარი ისმევა, ბებო, ანგელოზი იყავი და ანგელოზთა დასს შეუერთდი. შენს სახელზე არ ქრება წმინდა სანთელი. შენს სახელს დავიწყება არ უწერია, სანამ ჩვენ ცოცხლები ვართ, შვილო. მერე კი, ნათია და მათე მოგიგონებენ და ასე, საუკუნო მოგონება შენს პატარა, გაუხარელ სულს, ჩვენო მოუშუშებელო იარავ. გვიყვარხარ და გვენატრები.

პაპა-ბებია: ვასილი და მზია.

გოდერძი აბულაშვილი, ეთერ ფიცხელაური მწუხარებით იუწყებიან მძახლის

როზიზონ გარსენიშვილის

გარდაცვალებას და თანაგრძნობას უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

ნანული ნატროშვილი და ნაზი მოსაშვილი სამძიმარს უცხადებენ რუსუდან არაბულს, თამილას, ფატიმას, მანანას დის

თინათინ არაბულის

გარდაცვალების გამო. დაიკრძალა თბილისში, 26 დეკემბერს.

რას გვიმზადებს თეთრი ვირთხის წელიწადი?

აღმოსავლური კალენდრით ყოველი წელიწადი სხვადასხვა ცხოველი-თილისმის მფარველობით მიმდინარეობს. 2020 წელს ღორს თეთრი ლითონის ვირთხა ჩაანაცვლებს.

ჩვენი ახალი წლის მმართველი-თეთრი მეტალის ვირთხა მხოლოდ ცბიერი და სწრაფი კი არა, გამჭრიახიცაა. მას არ უყვარს გეგმებისა და სურვილების გამომზეურება. ზოგისთვის წლის დასაწყისში რთული იქნება, ემოციებთან გამკლავება და რთულ სიტუაციაში ახალ პირობებთან შეგუება. **„იყავით მეტად რეალისტურები და მოიცილეთ ილუზიები“**-ეს დევიზი ცხოვრების ყველა სფეროში გამოგადგებათ.

თეთრი ვირთხა ლიდერი და წინამძღოლია. მას სურს გარშემო ყველა და ყველაფერი დაიმორჩილოს. თუ ბრძნულად და პასუხისმგებლობით მოიქცევით, კატაკლიზმები არ მოხდება. უბრალოდ, შრომა უპირველესი უნდა გაიხადოთ, თუ გსურთ, წლის ჭირვეულ მბრძანებელს ასიამოვნოთ და ჯილდოც მიიღოთ. ნაკლები ლაპარაკი და მეტი მუშაობა. ასე მოთაფლავთ ჭკვიან, ინტუიციაგანვითარებულ ვირთხას.

2020 წელს კარგი იქნება ფულის დაბანდება წარმოებაში, პროექტებში, საქველმოქმედო ფონდებში. კარგი იქნება უძრავი ქონების შეძენა, სახლის აშენება, რემონტის გაკეთება. როგორ შევხვდეთ წლის მმართველი ვირთხის შემოზრძანებას, რომ მთელი წელი ილგლიანი გვქონდეს? რა თქმა უნდა, დღესასწაულისთვის ინტერიერი უნდა მორთოთ, მოამზადოთ საჩუქრები ახლობლებისთვის, გემრიელი კერძებით გააწყოთ სუფრა, მოაწყოთ წვეულება და მხიარულება. მენიუში ყველაზე გემრიელი და მსუყე კერძები უნდა გქონდეთ. შიმშილს თეთრი ვირთხა ვერ აიტანს. სუფრაზე დაალაგეთ განსხვავე-ბული კერძები-სასმელი,ხილი, ხორცი-თევზის,ფრინველის,ღვეზელები, პიცა და ხაჭაპური, თხილეული, შოკოლადი, კოქტეილები, წვენები და რა თქმა უნდა, ყველი.

ექსპერტები 2020 წელს საკმაოდ საშიშსა და არაერთმნიშვნელოვანს უწოდებენ: არა მხოლოდ იმიტომ, რომ ლითონის სტიქია ცუდად ესადაგება ვირთხას, არამედ იმიტომაც, რომ ეს წელი ნაკიანი იქნება. მოგვიწევს შენობების ნეგატიური ენერგიისგან ხშირად გათავისუფლება. უნდა გავაცნობიეროთ, რომ ნაკიან წელიწადში არაპროგნოზირებადი მოვლენები შეიძლება მოხდეს. სწორედ ასეთ პერიოდებშია საჭირო ინიციატივის საკუთარ ხელში აღება. ზოგიერთ ცხოვრებისეულ ვითარებაში მოგვიწევს სიმამაცისა და ლიდერის თვისებების გამოვლენა. ვირთხა ადამიანებს ეგოიზმისკენ უბიძგებს, ამიტომ აუცილებელია ამ გრძნობასთან ბრძოლა და ადამიანების დახმარება.

ამასთანავე, ამერიკის ფერის ინსტიტუტის pantone-ის ვიცე პრეზიდენტმა ლორი პრესმანმა განაცხადა, რომ 2020 წელს მოდის სამყაროში მთავარი ფერი ლურჯი იქნება. „Pantone წლის მთავარ ფერს 2000 წლიდან ირჩევს“ - წერს Footwearnews. ლორი პრესმანის თქმით, დიზაინერების შთაგონების წყაროდ მაინც დარჩება თეთრი, შავი და ყავისფერი თუმცა უპირატესობა ლურჯს მიენიჭება. **„ზღვის ფერი ლურჯი იქნება 2020 წელს დიზაინერების შთაგონების მთავარი წყარო. თუმცა დიზაინერები გამოიყენებენ აქტიურად ყავისფერ ჩრდილებსაც“** -ამბობს ლორი პერსმანი. ამერიკის ფერის ინსტიტუტი Pantone XX - ე საუკუნის შუა წლებიდან იყენებს ფერის შერჩევის სტანდარტულ სისტემას, ამისთვის ის სპეციალურ ციფრულ ინდიკატორს იყენებს. ფერების ნიმუშები კი სპეციალურ კატალოგებში გამოიცემა.

თეთრი ლითონის ვირთხის წელი 2020 წლის 25 იანვარს დაიწყება. ის ამ წელიწადში მოიტანს ღრმა ცვლილებებს ცხოვრების ყველა სფეროში. და თუმცა ეს ცვლილებები შეიძლება პოზიტიური გახდეს, ადამიანებზე იმოქმედებს ისეთი ფაქტორები, როგორიცაა **სკრუპულოზურობა, გონიერება, ეშმაკობა** - სწორედ ეს თვისებები ახასიათებს 2020 წლის მფარველ ცხოველს.

ასტროლოგების რჩევაა, რომ 2020 წელს რაც შეიძლება მეტი დრო დაუთმოთ საკუთარ თავს, ოჯახს, ურთიერთობების მოგვარებას კოლეგებთან, საკუთარ ჯანმრთელობას. არ უნდა დაივიწყოთ თვითგანვითარებაზე ზრუნვა - იკითხეთ ბევრი, უყურეთ საინტერესო გადაცემებს და ურთიერთობები გქონდეთ ჭკვიან, მოაზროვნე.

წლის სპორტსმენი – ლაშა ბექაური

სეზონის მიწურულს, ტრადიციულად, წლის ლაურეატები ძიუდოს საერთაშორისო ფედერაციამაც დაასახელა. ჩვენდა სასიხარულოდ, ნომინაციებს ქართველთა გარეშე არც ამჯერად ჩაუვლია: 19 წლის ლაშა ბექაური (90 კგ) წლის ახალბედა ძიუდოისტად აღიარეს. ძიუდოს საერთაშორისო ფედერაციამ თავის გვერდზე ჩვენებურს, სხვა ლაურეატთა მსგავსად, მცირე სტატია მიუძღვნა, სადაც მოკლედაა მიმოხილული მისი წლევანდელი მიღწევები.

კერძოდ, ნახსენებია, რომ მას წლეულს დებიუტი მაისში ბაქოს „დიდ მუზარადზე“ ჰქონდა, სადაც სერბთა მსოფლიოს ჩემპიონ ნემანია მაიდოვთან წააგო და მაშინ ვერავინ იფიქრებდა, სეზონის ბოლო დიდ ტურნირს - მსოფლიოს მასტერსს თუ მოიგებდაო. იჯფ-ის საიტი მასტერსზე მის გამოსვლასაც აღწერს და განსაკუთრებით გამოჰყოფს ბექაურის მოგებას ჰოლანდიელთა მსოფლიოს მოქმედ ჩემპიონ ნოელ ვან ტ ენდთან, თუმცა არც სხვა ძლიერი ფალავნების - იაპონელი სანშირო მურაოს, თურქ მსოფლიოს ფინალისტისა და მეორე ევროპული თამაშების ჩემპიონ მიხაელ ოზერლერისა და ესპანელთა შარშანდელი მსოფლიოს ჩემპიონის, ქართველი ნიკოლოზ შერაზადიშვილის დამარცხებას ივიწყებს.

ბექაურმა წლეულს ახალგაზრდებში ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონატები მოიგო, ამ უკანასკნელმა წარმატებამ კი საშუალება მისცა, მსოფლიოს რეიტინგში 36-ე ადგილზე გადასულიყო (თუმცა ამაში ქულების განახევრება-განულებაც დაეხმარა, რამაც სხვებს დააკლო მონაგარი), რითაც მასტერსზე გამოსვლის უფლება მოიპოვა, იქ კი წავიდა და დიდებულად იჭიდავა. მხოლოდ იმის აღნიშვნა რად ღირს, რომ მოუგო მსოფლიოს ბოლო ორ ჩემპიონს.

აღსანიშნავია, რომ ბექაური ახალგაზრდებში წლეულს ზედიზედ მეორედ გახდა მსოფლიოს ჩემპიონი. მას მესამე დიდი ტიტულის მოგებაც შეეძლო, მაგრამ საშწვრთნელო შტაბმა 23-წლიანთა ევროპის ჩემპიონატზე არ გამოიყვანა და, ალბათ, სამართლაიანადაც - ვინძლო, მაშინ მასტერსი ვერ მოეგო.

წლეულს მან კიდევ რამდენიმე ტურნირში იასპარეზა. ძირითადად-უფროსებში და ძირითადად - წარმატებით: **მოიგო შვეიცარიულ უსტერსსა და რუმინულ კლუჟში გამართული „ევროპის ღია თასები“, იპირველა პორტუგალიურ ოდიველასში გამართულ საკლუბო პირველობაზე, მეორე იყო ნეაპოლში ჩატარებულ მსოფლიოს უნივერსიადაზე, მესამე ადგილებზე გავიდა ევროპისა და მსოფლიოს ახალგაზრდული ჩემპიონატების გუნდურ პირველობებზე.**

უმედლოდ დარჩა ტაშკენტში გამართულ დიდ პრიზზე, თუმცა იქაც მეხუთე იყო და მსოფლიოს რეიტინგი გვარიანად შეიხვავრიელა - მასტერსზე გამარჯვების შემდეგ ერთბაშად **25 ადგილით დაწინაურდა, ამჟამად მე-11-ზეა და ჩვენებიდან მხოლოდ ევროპის მედალოსან ბექა ღვინიაშვილს ჩამორჩება ორი ადგილით.** ის უკვე შედის სალიცენზიო ზონაში. უშუალოდ ოლიმპიურ რეიტინგში (ის დათვლის სხვანაირი სისტემაა) ღვინიაშვილსაც უსწრებს ასევე ორი საფეხურით და ჩვენებიდან საუკეთესოა - მე-7 ადგილი. თუმცა შეგახსენებთ, რომ ძიუდოში ლიცენზია ფედერაციას ეკუთვნის და არა სპორტსმენს.

იქნებ ზედმეტი მოგვდის, მაგრამ ცოტა გასაკვირია რომ ლაურეატთა შორის ადგილი არ მოიძებნა ეთერ ლიპარტელიანისთვის (57), ვინც წლეულს მოიგო სამივე დიდი შეჯიბრება ახალგაზრდებში - ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონატები 20-წლიანებში და ევროპის ჩემპიონატი 23-იანებში. თუმცა მან ვერ მოიგო უფროსთა შორის გამართული მასტერსი, რაც ბექაურმა შეძლო - ეტყობა, ეს აღმოჩნდა გადამწყვეტი მის შემთხვევაში.

ნომინანტებში სხვა ქართველები ვერა, მაგრამ, სამაგიეროდ, საქართველოსთან დაკავშირებული ერთი ამბავი კი მოხდა: მარტში ჩვენს დიდ პრიზზე უკრაინელთა მსოფლიოს ჩემპიონ დარია ბილოდიდის (48) შოკისმომგვრელი მარცხი ფრანგ მელანია კლემენთან (მაშინ 19 წლის ბილოდიდმა ბევრიც იტირა ჩვენი სპორტის სასახლის სანახებში) წლის მომენტად აღიარეს.

დასასრულს, დავძენთ, რომ მასტერსი ბექაურისთვის კი აღმოჩნდა ზეწარმატებული, მაგრამ იმავეს ვერ ვიტყვით ჩვენს ნაკრებზე: სეზონის ბოლოს მსოფლიოს რეიტინგში არც ერთი წონის სათავეში არა გვყავს ფალავანი. არადა, სეზონის მესამედი სტაბილურად ვლიდერობდით ორ წონას - 100კგ-სა და მძიმეს, პერიოდულად კი 66კგ-შიც პირველ ადგილზე ვიყავით.

ულოცავენ!

თამაზ კობაიძეს!

სიცოცხლეშივე ლეგენდადაქცეულ არსენ კობაიძის სიყრმისშვილს, ტექნიკურ მეცნიერებათა აკადემიურ დოქტორს, ჩვენს საამაყო თანამემამულეს და კოლეგას **თამაზ კობაიძეს** ვულოცავთ დაბადების დღეს – 1 იანვარს და მეღვინეობის დარგში მოღვაწეობის 50 წლის იუბილეს.

პატივისცემით და საუკეთესო საახალწლო სურვილებით:

ფიქრია ალიკოშვილი, ვაჟა მამაიაშვილი, ვახუშტი ქიზიყურაშვილი, გოდერძი გონაშვილი, ილო თუშიშვილი, სოსო თევზაძე, ნიკოლოზ ბენიაიძე.

სემეკმა 2019 წელს ელექტროენერგიის, ბუნებრივი გაზისა და სასმელი წყლის მომხმარებლებს 2.5 მილიონ ლარზე მეტი ჩამოაწერა

ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელმა ეროვნულმა კომისიამ (სემეკ) 2019 წლის განმავლობაში, ელექტროენერგიის, ბუნებრივი გაზის, სასმელი წყლის მომხმარებლებსა და კომუნალური მომსახურების კომპანიებს შორის არსებული 3500-მდე სადავო საკითხი განიხილა. მომხმარებელთა საჩივრების უმეტესობა მათ სასარგებლოდ დაკმაყოფილდა და ერთი წლის განმავლობაში ჩამოწერილი თანხების ჯამმა 2.5 მილიონ ლარს გადააჭარბა.

წლის განმავლობაში სემეკში გამართულ 114 საჯარო სხდომაზე, კომისიის წევრებმა იმსჯელეს 636 საკითხზე. აქედან, 90% შეეხებოდა მომხმარებლებსა და კომუნალური მომსახურების კომპანიებს შორის არსებულ სადავო საკითხებს. სემეკში განსახილველად შემოსული მომხმარებელთა განცხადება/საჩივრები მოიცავდა კომპანიების მიერ უსაფუძვლოდ დარიცხულ თანხებს, ხანდაზმულ დავალიანებებს, გამანაწილებელ ქსელებზე მიერთების პროცედურებსა და ვადებს, კომპანიების დადგენილებებს ადმინისტრაციულ სამართალდამრღვევებად ცნობის თაობაზე, მოხმარებული ელექტროენერგიის საფასურის შეუსაბამო საფეხურის ტარიფით დარიცხვას.

სემეკი შეახსენებს ელექტროენერგიის, ბუნებრივი გაზისა და სასმელი წყლის მომხმარებლებს, თუ ადგილი აქვს მათი უფლებების დარღვევას კომუნალური მომსახურების კომპანიების მხრიდან, მიმართონ სემეკს ან სემეკთან არსებულ ენერგოომბუდსმენის სამსახურს. კონსულტაციების მიღება შესაძლებელია როგორც ქოლცენტრში ნომერზე -16 216, ასევე სემეკის Facebook გვერდზეც.

ამინდი

დედოფლისწყარო

	ორშაბათი 30.12	სამშაბათი 31.12	ოთხშაბათი 01.01	ხუთშაბათი 02.01	პარასკევი 03.01	შაბათი 04.01	კვირა 05.01
დღე	3 °	3	4 °	1 °	0 °	-2 °	-3 °
ღამე	0 °	−1 °	−1 °	0 °	-2 °	-5 °	-4 °

გამომცემელი შპს „შირაქი“
დირექტორი ინგა შიოლაშვილი
რედაქტორი ნაირა გორაშვილი-პოპიაშვილი
წერილში მოყვანილ ფაქტებსა და ციფრებზე პასუხს აგებს ავტორი.

სარედაქციო კოლეგია: ჟუჟუნა ყანჩაშვილი (ჟურნალისტი); ელზა ხარაშვილი (სტილისტ-მენეჯერი); ხათუნა ბენაშვილი (კორექტორი); ნათელა ბოსტაშვილი (ბუღალტერი); ნიაზი ჯანაშვილი (ოფის-მენეჯერი); მზია ქენქაძე (დისტრიბუტორი); ზურაბ ბუწაშვილი (კომპიუტერული უზრუნველყოფა).
გაზეთი აიწყო და დაკაბადონდა „შირაქის“ კომპიუტერულ ბაზაზე.
ყოველკვირეული გამოცემა იბეჭდება შ.პ.ს „კოლორ პრესის“ სტამბაში.

რედაქციის მისამართია: ქალაქი დედოფლისწყარო, ფიროსმანის №18,
ტელ. 0 356 22 55-49;
598 72-18-72 (დირექტორი)
591-97-73-26 (რედაქტორი)

რეგისტრირებულია დედოფლისწყაროს რაიონის სასამართლოს მიერ, №6014-468.